# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 2012 წელი.

№155 (7031)








იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# პრეზიდენტი პასუხისგებაში უნდა მიეცეს



„უფლებადამცველთა გაერთიანება“ მთავარ პროკურატურას პრეზიდენტ სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემას სთხოვს . როგორც მთავარ პროკურატურასთან გამართულ პრეკონფერენციაზე „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტმა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა საერო დღესასწაულები პარტიულ დღესასწაულებად აქცია.

— ის რაც საქართველოს პრეზიდენტმა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ბეშუმსა და დიდგორში ჩაიდინა, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევაა. ეს ჯარიმით ან თავისუფლების სამ წლამდე აღკვეთით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ისჯება. ეს დანაშაული პოლიციელების და ხელისუფლების მაღალჩინოსნების სატელევიზიო კომენტარებითაც დასტურდება, როდესაც ისინი ამბობენ, რომ დღესასწაულებზე არ დაუშვებენ „ქართული ოცნების“ და სხვა პარტიის წარმომადგენლებს და მოქალაქეები მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიწოდებული სიების მიხედვით დაიშვებიან. ამით საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანთა თანასწორობის პრინციპი დაირღვა და ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

# ბურჯანაძის გამბიტი



3

# თავს ნუ დავიმშვიდებთ, ხელისუფლება არჩევნებზე ყველაფერს იკადრებს!

# ვინ არის სააკაშვილის ფანტაზიის ნაყოფი ფოთელი რეალური გმირი?!

2





8

# პარდების რევოლუცია უფერულდება

# ქართველი ისტორიკოსი ჰომეროსის დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა

4







5

# ვინ იყო აფხაზი ქედუხრელი რაინდი?

ბლეფი

# ვინ გაწირა ფოთში ქართველი ჯარისკაცები?

## ვინ არის სააკაშვილის ფანტაზიის ნაყოფი ფოთელი რეალური გმირი?!

**4 წლის წინათ, რუსი სამხედროების ფოთში შემოსვლით შეშინებულმა და გურიის სოფლებში გახიზნულმა ფოთელებმა უკან დაბრუნება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც მიხვდნენ, რომ რუსმა ძალებმა თავისი ავი საქმე გააკეთეს — ასაფეთქებელი ააფეთქეს, ხოლო, წასაღები — წაიღეს.**

ფოთის ოკუპაციის პერიოდში რუსი სამხედროები განსაკუთრებული აგრესიულობით ჟურნალისტების მიმართ გამოირჩეოდნენ. 33-დღიანი ოკუპაცია, ყველაზე მტკივნეულად ქალაქის ეკონომიკაზე აისახა და ეს კვალი დღემდე მოჰყვება. ქართული ეკონომიკის მექად გამოცხადებულ ქალაქში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების იმედით ბანკებიდან კრედიტების აღება, ბევრი ფოთელისთვის, რუსულ ბომბებს გადარჩენილი სახლების ბანკებისთვის დათმობის მიზეზი გახდა.

12 აგვისტოდან, მათი ნახვა შესაძლებელი იყო ყველგან, ქალაქის ნებისმიერ ნაწილში. ფოთის პორტში სიტუაცია უკონტროლო კიდევ ერთხელ, მას შემდეგ გახდა, რაც იქ 19 აგვისტოს რუსული სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა შევიდა და 22 ქართველი ჯარისკაცი დაატყვევეს. არავინ იცის, საიდან მოხვდნენ ქართველი ჯარისკაცები იმ დღეს პორტის ტერიტორიაზე და ვინ მიიღო მათი ფოთში ჩამოყვანის გადაწყვეტილება. ფაქტობრივად, ისინი ამ გადაწყვეტილებით მავანმა გასწირა, რადგან იმ სიტუაციაში არავინ იცოდა, კბილებამდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები მათ დახვრეტდნენ თუ დაატყვევებდნენ.

ჯარისკაცების დახვრეტის წინაპირობა რომ არსებობდა, ეს ინფორმაცია ფოთის ყოფილმა მერმა



და მაშინდელი საგანგებო შტაბის ხელმძღვანელმა ვანო საღინაძემ რეგიონული სამაუწყებლო კომპანიის „მეცხრე ტალღის“ ეთერში საუბრისას დაადასტურა.

ამის მიუხედავად, ამ დრომდე ამ უგუნური და ყოვლად ულოგიკო ქმედების გამო არავინ დასჯილა. უფრო მეტიც, ბრძანების გამცემის ვინაობაც არავინ იცის, მათ შორის იმ ჯარისკაცებმა, რომლებმაც ტყვეობას თავი მხოლოდ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მეუფე გრიგოლის ძალისხმევითა და საპატრიარქოს მხარდაჭერით დააღწიეს.

როგორც მაშინ გავარკვიეთ, 50-მდე ჯარისკაცს, ამერიკიდან შემოტანილი ჰუმანიტარული ტვირთის გადმოტვირთვაში პორტის თანამშრომლების უსაფრთხოება უნდა დაეცვა, თუმცა დასაცავი ჯარისკაცები თავადვე გახდნენ, რადგან ისინი რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სხვას ვერაფერს მოახერხებდნენ, თუ არა ჩაბარებას.

ამ მოვლენებიდან მხოლოდ ათი დღის შემდეგ ჩამოვიდა ფოთში პრეზიდენტი სააკაშვილი, უფრო სწორად, ჩამოფრენილა, თან ღრუბელ-ღრუბელ, რაზეც ფოთელებმა და მთელმა საქართველომ, მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ შეიტყო. ამდენივე დრო დასჭირდა კიდევ ერთი საგმირო საქმის სააშკარაოზე გამოტანას, რომელიც სააკაშვილმა ახალციხეში სხვაგვარად მოჰყვა, ხოლო ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა ფოთის რეგიონული ტელევიზიის „მეცხრე ტალღასთან“ ინტერვიუში კი, — სხვაგვარად.

ფოთელი მალხაზ კუხიანიძე იხსენებს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ჩამოსვლის დროისთვის, ოკუპაციური ჯარების ქალაქში ყოფნის მიუხედავად, ფოთში აბსოლუტური სიმშვიდე იყო. კუხიანიძე, ამბობს, რომ სააკაშვილის ლოგიკა საკუთარი თავის პოპულარიზაციას ვერ ცდება.

საკრებულოს წევრი და აგვისტოს მოვლენების უშუალო მონაწილე გოჩა დოლბაია, რომელიც საგანგებო შტაბის წევრი იყო, პრეზიდენტის მიერ მაგალითად მოყვანილ პოლიციელის ისტორიას ვერ იხსენებს და ამბობს, რომ ხელისუფლება ნამდვილი გმირების იგნორირებას ეწევა.

მიხეილ სააკაშვილის ფოთში ჩასვლისა და გამოსვლის ტექსტი დღემდეა შემონახული პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე. საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ არქივის მიხედვით კი, საჰაერო ფრენებს „აირზენა“ ამ დროისთვის ბათუმის მიმართულებით, 10 დღით ადრე ასრულებდა. ფოთიდან ბათუმამდე, სახმელეთო მანძილი, მხოლოდ 80 კილომეტრია, საჰაერო გზით, კიდევ უფრო ნაკლები, რაც ფოთელთა დიდი ნაწილის აზრით, ჰაერიდან რაიმე სახის საფრთხის უკვე გამორიცხავდა, მით უმეტეს, დიდი ხნის შესული იყო ძალაში ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, რუსეთ-საქართველოს შორის მოეწერა ხელი.

**გიორგი აბულაძე**

ესეც ასე!

**სოლიდარობა გაშვებულ ლექტორებს“, — თსუ-ს სტუდენტებმა სპეციალური გვერდიც კი შექმნეს ინტერნეტში და ამ გზით თანადგომა გამოუცხადეს უსაფუძვლოდ დათხოვნილ ლექტორებს, რომელთა რიცხვს უკვე კოალიცია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი და ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ხადურიც მიემატა. ნოდარ ხადურს საკუთარი პოლიტიკური არჩევანის გამო უნივერსიტეტში კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს.**

**აღნიშნულის შესახებ ნოდარ ხადურმა სოციალურ ქსელში განაცხადა:**

**„პარადოქსია, მაგრამ დღეს, ძალიან მძიმე დღის შემდეგ, როდესაც გავიგე, რომ საკონკურსო კომისიამ და უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ჩათვალეს, რომ არ ვიმსახურებ უნივერსიტეტის პროფესორობას, ძალიან ბედნიერი ვარ, იმდენი თბილი სიტყვა მოვისმინე ჩემი კოლეგებისგან (ყოფილს ვერ დავწერ) და განსაკუთრებით სტუდენტებისგან, რომ ამ ყველაფერმა გადაფარა! გულწრფელი მადლობა საკონკურსო კომისიას და აკადემიურ საბჭოს, რომ ასეთ სიყვარულში დარწმუნების საშუალება მომცა! ერთიცაა, მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი უსაყვარლესი საქმე ჩემს უსაყვარლეს უნივერსიტეტში გავაგრძელო!“**



# მეცნიერება მეოცნებეებს ვერ იტანს?!

## უნივერსიტეტიდან პოლიტიკური ნიშნით დათხოვნა გრძელდება

**For.ge პროფესორ ნოდარ ხადურს ესაუბრა**

— არ ვიცი, ჩემს მსგავსად, მომავალში შეექმნებათ თუ არა პრობლემა ოპოზიციურად განწყობილ სხვა ლექტორებსა და პროფესორებს, მაგრამ ვისურვებდი, უნივერსიტეტი უფრო მაღლა იდგეს, ვიდრე პოლიტიკა ან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიაა. ვერც ერთი ჩემი სტუდენტი ან ჩემი კოლეგა ვერ იტყვის, რომ მე უნივერსიტეტის შენობაში, განსაკუთრებით კი, ლექციაზე, პოლიტიკურ დებატებში ვმონაწილეობდი ან პოლიტიკურ განცხადებებს ვაკეთებდი. ექვსი წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი გახლდით, ახლა კი გამოცხადებული იყო კონკურსი იმ ადგილზე, რომელზეც მე ვიყავი. სამწუხაროდ, კონკურსი ვერ გავიარე.

**— კონკურსამდე ვერ მიაღწიეთ? რატომ ვერ გაიარეთ კონკურსი?**

— კონკურსამდეც მივაღწიე და კონკურსის გარეთაც „გამოვაღწიე“. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ ვერ გავიარე კონკურსი. აბსოლუტურად დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემს საკონკურსო დოკუმენტაციაში ხარვეზის შეტანა, პრაქტიკულად, გამორიცხული იყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ მუშაობას, რომელიც მე კათედრაზე გავწიე. ამიტომ, ერთადერთ არგუმენტად რჩება პოლიტიკური საკითხი. როგორც ჩანს, ეს თემა მტკივნეულია. ფაქტია, უნივერსიტეტი პოლიტიკური დებატებისგან თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს. თავისთავად ცხადია, უნივერსიტეტის შენობაში პროფესორი არ უნდა აკეთებდეს პოლიტიკურ განცხადებებს, ხოლო უნივერსიტეტის შენობის გარეთ ჩვენი, როგორც პროფესიული, ისე პატრიოტული ვალია, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა საქართველო უფრო დემოკრატიული იყოს.

**— ის ადგილი, რომელზეც განაცხადი გქონდათ შეტანილი, ვაკანტური დარჩა და არავინ მიუღიათ?**

— ოთხი ადამიანი აცხადებდა პრეტენზიას იმ ადგილზე, მაგრამ საკონკურსო კომისიამ ჩათვალა, რომ ოთხიდან ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებდა პირობებს.

**— ვინ იყვნენ კომისიის წევრები და კომისიის გადაწყვეტილება ტენდენციური იყო?**

— თავისთავად ცხადია, ვერ ვიტყვი, რომ ჩემს მიმართ საკონკურსო კომისია ობიექტური იყო. ახლა სხვასთან მიმართებით არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ გასაუბრებისას ნამდვილად კეთილგანწყობილნი იყვნენ კომისიის წევრები და სულაც არ ეტყობოდათ, რომ რაღაცის „გაფუჭებას“ აპირებდნენ. იმედი მაქვს, უნივერსიტეტში დავბრუნდები. შეიძლება, ეს არ იყოს ძალიან მოკლე დროში, თუმცა ვიმედოვნებ, რომ უნივერსიტეტთან არ გავწყვეტ კავშირს, რადგან ვალდებულებები მაქვს აღებული ჩემს სტუდენტებთან, მართლა ბევრი რამ მაქვს გაკეთებული და მენანება მისი დატოვება.

**— თავად სტუდენტების დამოკიდებულება როგორი იყო თქვენი წასვლისას?**

— რაც შეეხება სტუდენტების დამოკიდებულებას, შეგიძლიათ, შეხვიდეთ ფეისბუქზე, გნებავთ, ჩემს გვერდზე და ნახოთ, იქ რა პოსტებია. სპეციალური გვერდიც კი გააკეთეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა — „სოლიდარობა გაშვებულ ლექტორებს“.

**— პოლიტიკურად სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებს თქვენს კვალს თუ მიაყოლებენ? ზოგადად, როგორია ლექტორების განწყობა მიმდინარე პროცესების მიმართ და ისევ მიზერულ ხელფასზე თუ მუშაობენ?**

— ნამდვილად არ მაქვს ასეთი ინფორმაცია, აპირებენ თუ არა სხვების გაშვებას. ვერც იმას ვიტყვი, რომ მიზერული ხელფასია უნივერსიტეტში. ეკონომიკის ფაკულტეტზე სრული პროფესორის ხელფასი 3500 ლარია. მოდით, თავად ამ ლექტორებს ჰკითხეთ, მოსწონთ თუ არა ქვეყანაში არსებული ვითარება.

**— ისინი არ იქნებიან გულწრფელნი.**

— ჩემი პოზიცია საყოველთაოდ ცნობილია, ყველამ იცის, მე რას ვფიქრობ არსებულ სიტუაციაზე.

**— მსგავსი კონკურსები არასასურველ პირთა გასაცხრილად ხომ არ მოიგონეს?**

— კანონია ასეთი. აქამდე იყო სამწლიანი ვადა, ანუ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს კონკურსი უნდა გაევლო. მე ორჯერ გავიარე კონკურსი და ორჯერვე გავედი. 2006 წელს სამი წლით გავედი, ხოლო 2009 წელს — კიდევ სამი წლით. ახლა კი იყო ექვსწლიანი კონკურსი. სამწუხაროდ, მესამე ცდაზე არ გამიმართლა.

**— ზოგადად, მეცნიერებს ძალიან უჭირთ უნივერსიტეტთან განშორება. თქვენ ამ ხარვეზს რით ამოივსებთ?**

— მეც ძალიან მიჭირს. ჩემთვის უნივერსიტეტი არ არის უბრალოდ სამსახური, ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით. ჩემთვის უნივერსიტეტი გაცილებით უფრო დიდი რამ არის, ვიდრე უბრალოდ სამსახური. თუ ზედმეტ სენტიმენტალობად არ ჩამითვლით, ძალიან მიყვარს და არ ვაპირებ, გავშორდე უნივერსიტეტს.



თავისთავად, ცხადია, აქ მხოლოდ ჩემს სურვილზე არ არის საუბარი, მათი მხრიდანაც უნდა იყოს სურვილი. თუმცა, დღეს არანაირი შემოთავაზება არ მაქვს და ადმინისტრაციიდან ამ თემაზე არავისთან მისაუბრია.

**— რა გითხრეს, რატომ ვერ დააკმაყოფილეთ მათი მოთხოვნა?**

— არ მქონია საუბარი.

**— არ დაგაინტერესათ, რა არ მოიწონეს?**

— საბუთებში ვერაფერს ვერ ნახავდნენ ისეთს, რაც არ მოეწონებოდათ. ვფიქრობ, დავაკმაყოფილე მათი მოთხოვნები. მე მაქვს საზღვარგარეთ ციტირების მაღალი ინდექსი, სტუდენტების დაინტერესება გავზარდე, ახალი წიგნები ვთარგმნეთ მაკროეკონომიკაში, ანუ იმ სფეროში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ამიტომ ყოველგვარი ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვფიქრობ, რომ საკმაოდ წარმატებული ექვსწლიანი პერიოდი დავასრულე.

**— თქვენ ტკივილი მოგყვებათ უნივერსიტეტიდან, ამიტომ ხომ არ ნანობთ, რომ პოლიტიკური კარიერა არჩიეთ, რასაც თქვენი მეცნიერული კარიერა შეეწირა?**

— არ ვნანობ. ჩემი პოლიტიკური კარიერის ერთ-ერთი მიზანი იქნება, რომ უნივერსიტეტს ავტონომია დაუბრუნდეს და უნივერსიტეტი თავისუფალი იყოს.

**მარიამ ლოლაშვილი**

ინფორმაცია

## სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება არ შეცვალა

**თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება „ქართულ ოცნებაში“ უკანონო შემოწირულობის განხორციელებისთვის 16 პირის დაჯარიმების შესახებ. შესაბამისი გადაწყვეტილებები აპელანტებს მოსამართლეებმა გუშინ გამოუცხადეს. „ქართუ ბანკის“ 8 თანამშრომლისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ 8 წარმომადგენლის სააპელაციო საჩივრებს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სააპელაციო სასამართლო ერთდროულად სამ დარბაზში იხილავდა. პროცესებს მოსამართლეები ქეთევან დუგლაძე, თეა ძიმისტარაშვილი და მერაბ ლომიძე უძღვებოდნენ.**

**სასამართლო პროცესებზე მოსამართლეებმა მხარეების არგუმენტები მოისმინეს, რის შემდეგაც რამდენიმე წუთში გადაწყვეტილება გამოცხადდა. დაჯარიმებული პირების ადვოკატები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკანონოს უწოდებენ, რადგან, მათი თქმით, სასამართლომ უტყუარი მტკიცებულებები მხედველობაში არ მიიღო.**

**თბილისის საქალაქო სასამართლომ 10 აგვისტოს „ქართულ ოცნებაში“ უკანონო შემოწირულობის განხორციელებისთვის „ქართუ ბანკის“ 8 თანამშრომელი, მათ შორის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი და კოალიცია „ქართული ოცნების“ 8 წევრი გადარიცხული თანხის ხუთმაგი ოდენობით დააჯარიმა. ჯარიმის თანხამ საერთო ჯამში 500 ათასი ლარი შეადგინა.**

**დაჯარიმდნენ გოჩა ბარამიძე, გოჩა ჩიკვილაძე, დავით კაჭახიძე, ვიქტორ ჯაფარიძე, ნატო კოპლატაძე, მაგდა მუშკუდიანი, ნინო უძილაური, თეონა ჯახუტაშვილი, ინგა ჯავახია, დავით დარჩია, დავით მათიკაშვილი, ნოდარ ჯავახიშვილი, ირაკლი ბერაია, ნატო ხაინდრავა, ია გამცემლიძე და დავით გალუაშვილი.**

◉ ფართოდ გავახილოთ თვალები

# ბურჯანაძის გამბიტი



**ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, ერთმნიშვნელოვნად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ძირითად მოტივად ის სახელდება, რომ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ იმედის უკანასკნელ ნაპერწკლად აღიქმება და მისთვის „ფართო გზის“ მიცემა პოზიტიურ ნაბიჯად ჩაითვალა.**



პოლიტიკური ტექნოლოგიები ორ ძირითად ვექტორს სცნობს: ამომრჩევლისკენ და ოპონენტებისკენ მიმართულს. ის, რაც ამომრჩევლის გულს მალამოდ ეფინება, სულაც არ უნდა იყოს სასიამოვნო პოლიტიკური სუბიექტისთვის, ამ შემთხვევაში – „ქართული ოცნებისთვის“. ტაქტიკამ, რომლითაც ივანიშვილმა ოპოზიციურ ფლანგზე ზოგი პარტია შეიწოვა, ზოგი ფაქტობრივად დაშალა, ხოლო ზოგიერთის სრული დემორალიზაცია მოახერხა, ნინო ბურჯანაძის შემთხვევაში არ გაამართლა.

მისი პარტიისა და „სახალხო კრების“ ლიდერებმა ივანიშვილის ფორმულას – „ყველა მინუს ბურჯანაძე“ უარით უპასუხეს. მაჟორიტარობის ორი კანდიდატი, რომელიც „ოცნებისგან“ იყრის კენჭს, საბოლოო ჯამში უფრო ბურჯანაძის აქტივია, ვიდრე ივანიშვილის. მაჟორიტარების საკითხი ერთობ საინტერესოა და ამაზე ცალკე ღირს მსჯელობა, აქ მხოლოდ იმას დავსძენ, რომ კანდიდატების მიმართ რეგიონებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გამო „ქართულმა ოცნებამ“ უკვე მიანიშნა მათ შესაძლო შეცვლაზე.

დღემდე ქართულ პოლიტიკაში არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა ბოიკოტს უკავშირდებოდა. ბურჯანაძის განცხადება კი ერთმნიშვნელოვნად ემიჯნება არჩევნების ბოიკოტირების იდეას (რომელიც, სხვათა შორის, არასოდეს ყოფილა წარმატებული საქართველოშიძ: **„აღნიშნული გადაწყვეტილება არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს არჩევნების ბოიკოტს, მით უფრო არ ნიშნავს „დემოკრატიული მოძრაობის“ დაწყებული ბრძოლის შეწყვეტას... „დემოკრატიული მოძრაობა“ მოუწოდებს ყველას, რომ 1 ოქტომბერს ქუდზე კაცი გამოვიდეს, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და მხარი დაუჭიროს რეალურ ოპოზიციურ ძალას, რომლის გამარჯვების იმედიც დღეს აქვს საქართველოს მოსახლეობას“.**

ამ განცხადებაში კიდევ ერთი აბზაცია, რომელიც ნათლად აჩვენებს ბურჯანაძის გადაწყვეტილების მოტივს: **„ჩვენს პოლიტიკურ ძალას კვლავ მიაჩნია, რომ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის ჩამოყალიბებით და არაერთხელ გამოვედით საჯაროდ ამ ინიციატივით, ოპოზიციური ერთობის მისაღწევად ჩვენ უარიც კი განვაცხადეთ საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებზე“.** როგორც ცნობილია, ოპოზიციურ ერთობაზე ივანიშვილმა იმთავითვე თქვა უარი და აზრი არც დღეს შეუცვლია.

რამდენად ძლიერია ამომრჩეველში ოპოზიციის გაერთიანების სურვილი, 26 მაისს დაღუპულთა პარაკლისზე ივანიშვილი-ბურჯანაძის მისალმებისას ტაძარში მყოფთა ტაშმა აჩვენა. თუმცა ვერც ამან შეაცვლევინა გადაწყვეტილება ივანიშვილს. მისი სურვილი – ბურჯანაძე ხელს ნუ შეგვიშლისო, დღეს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა შეუსრულა და ის ვითარება შექმნა, რომელსაც ქართულად „ჰა – ბურთი, ჰა – მოედანი“ ეწოდება.

სააკაშვილის რეჟიმთან დაპირისპირებისას „წუნია პატარძალივით“ მოქცევა კარგს რომ არაფერს მოიტანს, ცხადია. იგი დათმობას არ აპირებს და მასთან დაპირისპირება მართლაც მხოლოდ ერთიანი ფრონტითაა შესაძლებელი. საუკეთესო შემთხვევაში ყველა იდეური შეუთანხმებლობა (თუ ასეთი არსებობსძ გვერდით უნდა გადადებულიყო რეჟიმის დამარცხებამდე. თუმცა „ოცნების“ ბანაკის მხრიდან მოტანილი ყველა მოტივი ერთმანეთის მიყოლებით გაბათილდა; ჯერ ბურჯანაძის მიერ „პუტინისთვის ხელის ჩამორთმევის“ მიზეზი ამოიწურა, რადგან „ოცნებაში“ „ჟირინოვსკისთვის ხელის ჩამომრთმევები“ აღმოჩნდნენ, შემდეგ ბურჯანაძის „ქუჩის აქციების მიმდევრობაზე“ საყვედური გაუაზროვდა, რადგან „ოცნება“ იძულებული გახდა, თავადაც განეცხადებინა, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ქუჩაში გამოვა.

ერთი სიტყვით, დარჩა აუხსნელი სუბიექტური მიზეზები, რის გამოც ივანიშვილის გარშემო გამაგრებულ ძალებს ბურჯანაძის იქ ყოფნა არანაირად არ აძლევს ხელს. ეს ის ძალებია, რომელთაც დამოუკიდებლად საარჩევნო ბარიერის დაძლევა არ შეუძლიათ. ივანიშვილი მათთვის ლოკომოტივია, ოღონდ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მასზე მიბმული ვაგონები კარნახობენ ლოკომოტივს თამაშის წესებს.

სულ ახლახან ირმა ინაშვილისთვის მიცემულ ინტერვიუში ივანიშვილმა განაცხადა, რომ ყველაზე უარესი შედეგი „ქართული ოცნებისთვის“ საპარლამენტო არჩევნებში მიღებული 40 პროცენტი იქნება. ნუ დავწვრილმანდებით და ნუ შევახსენებთ მას, რომ იგი გადამწყვეტი უმრავლესობით გეგმავდა პარლამენტში მოსვლას; ამ 40 პროცენტზე შევჩერდეთ. ვინ მიიღებს დანარჩენ 60 პროცენტს? ივანიშვილი რომ უშვებდეს სხვა ოპოზიციური ძალის გასვლას, მას ელემენტარული პოლიტიკური ლოგიკით გვერდით უნდა იყენებდეს. რაკი არ იყენებს, ივარაუდება, რომ იმ 60 პროცენტში იგი ნაცმოძრაობასა და მის სატელიტებს გულისხმობს. განა ეს გამარჯვებაა? ცხადია, არა.

ეს გამარჯვება იქნება მხოლოდ იმ პარტიებისთვის, რომლებსაც თავად არ შეუძლიათ საპარლამენტო მანდატების მოპოვება, ხოლო „ოცნების“ წყალობით ფრაქციების შექმნის შესაძლებლობასაც კი მიიღებენ. ეს დამარცხებაა ქართველი ხალხისთვის, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის მოცილება სურს. ბურჯანაძის გამბიტი ამ მხრივ ივანიშვილს შიშველს ტოვებს: მან ან უნდა მოიგოს და დაიცვას საკუთარი ხმები (რაც ამ კონფიგურაციით ძალიან გაუჭირდება), ან აგვისტოს ბოლომდე მთლიანად შეცვალოს კოალიციის კონფიგურაცია და ნაციონალური რეჟიმი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს.

წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ბურჯანაძემ ეს პარტია ივანიშვილს მოუგო. 40-პროცენტიანი „გამარჯვების“ შემთხვევაში, ივანიშვილის რეიტინგი მკვეთრად დაეცემა, მაშინ, როცა ბურჯანაძე არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმით ამ შედეგის დადგომისთანავე გაცილებით უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილი კიდევ ერთი წლით რჩება პრეზიდენტად და, შესაძლოა, ექვს თვეში მან თავად დაშალოს პარლამენტი. საარჩევნო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა არჩევნების შედეგები არც გამარჯვებულს აძლევს ხელს და არც დამარცხებულს. ოქტომბრის არჩევნების გამოტოვებით ბურჯანაძე არაფერს აგებს, ხოლო ივანიშვილი გაუმართლებელ რისკზე მიდის. 2013 წელს კი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, რომლისთვისაც საწყისი პირობები ბურჯანაძეს ბევრად უკეთესი აქვს, ვიდრე რომელიმე სუბიექტს „ქართულ ოცნებაში“.

**ამდენად, ბურჯანაძის ნაბიჯი, რომელიც მას ექსპერტებმა ღირსეულად ჩაუთვალეს, ამავე დროს უაღრესად პრაგმატულია. პოლიტიკას კი სწორედ პრაგმატული ნაბიჯები ქმნის და არა მხოლოდ ღირსეული. ამ გამბიტით ბურჯანაძემ ოქტომბრის არჩევნები მომავალ გამარჯვებას შესწირა, ხოლო ივანიშვილს ცაიტნოტი აქვს კონტრგამბიტისთვის; მას ვადა მხოლოდ აგვისტოს ბოლომდე დარჩა.**



**ნანა დევდარიანი**

# თავს ნუ დავიმშვიდებთ, ხელისუფლება არჩევნებზე ყველაფერს იკადრებს!

**პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დიდგორის დღესასწაულზე გამოსვლას აფასებს და From.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები გააჩნია და თვითმკურნალობის კურსი უკვე დაგვიანებულია. რაც შეეხება დასავლეთის სიჩუმეს ხელისუფლების მიერ უკანონოდ განხორციელებულ ქმედებებზე, პოლიტოლოგის აზრით, ეს სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელდება და სექტემბერში დასავლეთი აუცილებლად ამოიღებს ხმას და თავის პოზიციებს გამოხატავს.**



**– როგორ შეაფასებთ დიდგორის დღესასწაულზე მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას?**

– რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო მძიმე მოსასმენია განცხადებები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს. ალბათ, თვითმკურნალობის კურსი დაგვიანებულია და უნდა ვივარაუდოთ, რომ დარჩენილი თვენახევარი საზოგადოების მხოლოდ უდიდესი მოთმინებით, სახელმწიფოებრივი აზროვნების პირობებში მივიდეთ არჩევნებამდე ძალადობის წინაშე.

პრეზიდენტს აღარ ახსოვს, რომ ის არის გარანტი საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების , სამაგიეროდ ახსოვს, ამ პიროზის დადებისას პარლამენტში გამოსვლისას, მისი წინადადების მეორე ნაწილი, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, რათა არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვოს. რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ ის არა თუ ყველაფერს აკეთებს, არამედ ყველაფერს კადრულობს მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება გარანტს, სამწუხაროდ, არც დემოკრატიის, არც თავისუფალი არჩევნების გარანტად არ გამოდგა, ერთ დროს დემოკრატად წოდებული ჩვენი პრეზიდენტი.

**– „ჩვენი დიდგორი წინაა“, “ეს არის გამარჯვება, ნებისმიერ ფასად გამარჯვება“ და რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება „მეტი საქმე არ მაქვს, ხელისუფლება მათ გადავაბარო“, ნიშნავს თუ არა ეს განცხადებები იმას, რომ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებზე არაფრის დათმობას არ აპირებს და შესაძლებელია საქმე დაპირისპირებამდეც მივიდეს?**

– ძალიან ბევრი მიმანიშნებელია იმისა, რომ ხელისუფლება არც აპირებდა რაიმე ტიპის სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, რადგან მას ასეთი ტიპის გამოცდილება არა აქვს. სააკაშვილს და პუტინს ერთნაირი გემოვნება და მტერთან საბრძოლველად ერთნაირი ინსტრუმენტები აქვთ. სააკაშვილის პოლიცია იმით სჯობს პუტინისას, რომ ის უფრო მარტივად უხეთქავს თავს უიარაღო მოქალაქეებს, ვიდრე პუტინის პოლიცია და უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის პრეზიდენტს ასეთი პოტენციალი ბევრად მეტი აქვს

ნუ დავიმშვიდებთ თავს იმით, რომ საქართველოს ხელისუფლება არაფერს იკადრებს, ისინი ყველაფერს იკადრებენ. ამის გამანეიტრალებლები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები შეიძლება იყვნენ, რომლებიც 1 ოქტომბერს აუცილებლად მივლენ საარჩევნო ყუთებთან და იქ გამოხატავენ საკუთარ აზრს.

**– ბიძინა ივანიშვილის უკვე მერამდენედ რამდენიმემილიონიანი ჯარიმის დაკისრების და, ამჯერად, კახა კალაძის ქონების დაყადაღების შემდეგ, იურისტებიც და საზოგადოებაც აცხადებს, რომ ხელისუფლების ეს ქმედება ყოველგვარ ზღვარს გაცდა. რატომ დუმს დასავლეთი?**

– პირველი: აგვისტო საერთაშორისო აქტიურობისთვის მკვდარია, მეორე: არჩევნები შეერთებულ შტატებს თვითონაც კარზე აქვს მომდგარი და მესამე: ძალიან გაგრძელდა პაუზა, რომლის დროსაც თბილისში ამერიკის ელჩის სავარძელი ცარიელია. ნათელია ძალიან მოუქნელი ქმედების რეალობა საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციებისა, რომელთაც ექსტრემალური სისტემის მოქმედების იარაღი უნდა ჰქონდეთ, რათა შემდგომ არ მოხდეს ათასობით ადამიანის ცალ-ცალკე აღძრული საქმე საერთაშორისო სასამართლოებში.

**– დასავლეთის მხრიდან ასეთი სიჩუმე გაგრძელდება 1 ოქტომბრამდე?**

– დასავლეთის მხრიდან ასეთი სიჩუმე არ გაგრძელდება. სექტემბერში რეაგირება ბევრად უფრო მწვავე და აქტიური იქნება. ვერ ვიტყვით, რომ არსებობს რაიმე, რასაც გაითვალისწინებს ჩვენი ხელისუფლება, რადგან მათთვის ნებისმიერი დემოკრატიული ნაბიჯის განხორციელება საარჩევნოდ თვითმკვლელობის ტოლფასია. ხელში შეგვრჩა სრულიად ველურ პრინციპებზე დამყარებული ხელისუფლება, რომლისთვისაც კანონმდებლობა სრულიად უცხო ცნებაა. სამართლიანობის მიმართ მას არც არასოდეს ჰქონია პატივისცემა. საქართველოს საზოგადოების ინტერესებში შედის დასავლეთის რაც შეიძლება სწრაფი რეაგირება საქართველოში დღეს არსებულ უსამართლობაზე და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს აუცილებლად მოხდება სექტემბერში.

**ეკა ბუჩუკური**

◉ ინფორმაცია

## შვილმკვდარი დედა პატრულმა ძალადობით თბილისიდან გააძევა

**ქეთო გადელია, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში პრეზიდენტის რეზიდენციასთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვდა, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა ზუგდიდში დააბრუნეს. ამის შესახებ თავად გადელია იტყობინება.**

**მისივე თქმით, გვიან ღამით, საპატრულო პოლიციის 30-მდე თანამშრომელმა უთხრა, რომ რეზიდენციის წინ უკანონოდ იმყოფებოდა და შვილთან, ლიკა ტაბიძესთან ერთად ზუგდიდში ჩაიყვანეს.**

**– რეზიდენციის წინ წუხელ მოვიდა საპატრულო პოლიციის 30 თანამშრომელი, ძალადობით ჩამსვეს მანქანაში მე და ჩემი შვილი და აღმოვჩნდი ზუგდიდში. მე თბილისში ვცხოვრობ, ვუთხარი პოლიციას, ზუგდიდში მხოლოდ სასაფლაო მაქვს, მაგრამ მითხრეს, რომ ჩემს შვილთან დაკავშირებით გამოძიება ზუგდიდში მიმდინარეობს და აქ ჩამომიყვანეს, – განაცხადა გადელიამ.**

**მისივე თქმით, ამ დრომდე ზუგდიდში რჩება და გარდაცვლილ შვილთან დაკავშირებით ექსპერტიზის პასუხს დაელოდება.**

ინტერპრესი

ალიარება

# ქართველი ისტორიკოსი ჰომეროსის დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა

**ქართველ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს მანანა ხომერიკს ჰომეროსის ოქროს მედალი გადაეცა. მედალს ამშვენებს წარწერა „ევროკლასიკა და აკადემია „ჰომერიკა“, ანუ კლასიკური ენებისა და ცივილიზაციების დარგის პროფესორების ასოციაციების ევროპის ფედერაციის შემადგენლობაშია აკადემია „ჰომერიკა“, რაც ნიშნავს ჰომეროსის აკადემიას.**

ყოველ ზაფხულს, ევროკლასიკას ფარგლებში კუნძულ ქიოსზე ტარდება აკადემია „ჰომერიკას“ კონგრესი, სადაც მეცნიერები მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან.

ქალბატონი მანანა ხომერიკი პირველად 2007 წელს მონაწილეობდა ამ კონგრესში, ამჯერად ამ ზაფხულს მიიწვიეს, და კუნძულ ქიოსზე იგი შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გაემგზავრა. ქართველმა მეცნიერმა წაიკითხა ლექცია „ჰომერიდების მიგრაცია“, სადაც წარმოჩინდა ქართულ-ბერძნული კულტურის ურთიერთობის დღემდე უცნობი საკითხი. ლექციამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მანანა ხომერიკი ჰომეროსის დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს. მედალთან ერთად მას საპატიო დიპლომიც გადაეცა.

**— ქალბატონო მანანა, გილოცავთ დიდ წარმატებას, გვაინტერესებს, რატომ იმართება ეს კონგრესი მაინცდამაინც კუნძულ ქიოსზე?**

— საბერძნეთში 7 ქალაქი ეცილება ერთმანეთს, ჰომეროსის სამშობლოდ იწოდებოდეს. სადღეისოდ კი ერთი რამ უდავოა — ჰომეროსი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა სწორედ კუნძულ ქიოსზე, სადაც დატოვა თავისი ფიზიკური შთამომავლები — ჰომერიდები, რაც ჰომეროსის შვილებს ნიშნავს. მათ შესახებ უძველესი ცნობები მოგვეპოვება პინდარესთან, პინდარეს სქოლიანსტთან, პლატონთან... პლატონის ერთ-ერთ დიალოგში „იონი“ პოეტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული იონი ამბობს: მე ისე კარგად ვასრულებ და ვხსნი ჰომეროსს, რომ ვიმსახურებ, თავად ჰომერიდებმა დამადგან თავზე ოქროს გვირგვინიო.

ამის გარდა, ქიოსის არქეოლოგიური მუზეუმის საცავში ინახება ძველი წელთ აღრიცხვის IV საუკუნის არტე ფაქტი — მონაცრისფერო ქვის ფილა, რომელზედაც ამოტვიფრულია რამდენიმე ქიოსური საგვარეულოს სახელი, მათ შორის არიან ჰომერიდები.




ეს საგვარეულო ქალზე დაფასებული იყო, უძღვებოდნენ ჰომეროსის პოეტურ სკოლას, მისი პოემების სიმღერით შესრულების ტრადიციას ინახავდნენ. შემდეგ მოხდა თავად ჰომეროსის გაღმერთება-აპოთეოზი, რამდენიმე ადგილას მისი საკურთხევლები გაჩნდა. ამ ყველაფერმა ჰომერიდების ავტორიტეტი აამაღლა. ჩვ. წ. აღრიცხვით II საუკუნეში ჰომერიდები კუნძულზე აღარ ჩანან და მათი ხსოვნა აქ დღემდე ცოცხლობს.

**— საინტერსოა, სად აღმოჩნდა ბოლო ჰომერიდის კვალი?**

— დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, იზმირის სიახლოვეს აპოლონის სამისნოში. ე. წ. კლაროსის აპოლონის სამისნო იგივე ტაძარია, რომელიც ძვ. წ. აღ-ით VII საუკუნეში მაინც უნდა იყოს აშენებული (თუ უფრო ადრე არაძ.

ახალი წ. აღ-ით I-III საუკუნემდე შემოვიდა ასეთი წესი — მომლოცველები, ანუ პილიგრიმები ამ ტაძრის კედლებზე, სვეტებზე ამოკვეთდნენ ხოლმე თავიანთ სახელებს. მე-4 საუკუნეში ქრისტიანებმა ეს ტაძარი დაანგრიეს და როგორც ხდება ხოლმე, იგი მიწით დაიფარა. მე-20 საუკუნეში ჩატარებული გათხრების შედეგად აქ უმდიდრესი მასალა აღმოჩნდა. ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს: აქ ქიოსიდან ჩასულა გუნდების ხელმძღვანელი „ქორაგოსი“, ჰომეროსის შთამომავალი მეგინორი — ნახევარღმერთი, ბერძნულად „იმთეონი“, ვინც უგალობა და პატივი მიაგო აპოლონს. ამის შემდეგ მეგინორის კვალი იკარგება. შარშან, იზმირის უნივერსიტეტის პროფესორთან შეთანხმებით, ეს გათხრები მოვინახულე. ამჟამად, ქიოსის კონგრესზე წამოვაყენე საკუთარი ვერსია, თუ საით განაგრძო გზა მეგინორმა და საბოლოოდ სად მოიყარეს თავი ჰომერიდებმა. ეს ვერსია მოიწონეს სპეციალისტებმა. სხვათა შორის, მე მათ დავურიგე კლაროსიდან ჩამოტანილი ფოტომასალაც.

**— კონკრეტულად რას გულისხმობს თქვენეული ვერსია?**

— ამის შესახებ ვაპირებ ცალკე ნაშრომის გამოცემას, რომელიც იქნება ილუსტრირებული, სათანადო კომენტარებით.

**— კონგრესის გარდა რა იყო საინტერესო კუნძულ ქიოსზე?**

— მოვინახულე კორაისის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც ინახება პეტრიწონის, იგივე ბაჩკოვოს ქართული მონასტრის XI საუკუნის ტიპიკონი ქართულ და ბერძნულ ენებზე. მოვითხოვე და მაჩვენეს ეს ტიპიკონი, რომელიც სათანადო პირობებში ინახება. არ შემეძლო გულგრილად გვერდი ამევლო და ჩვენი რელიკვია არ მომენახულებინა.

ასევე, საინტერესოა არგოს ბარელიეფი ნაოსნობის მუზეუმში. ხოლო დასკალოპეტრაში ვნახე მასწავლებლის ქვა. იგულისხმება ჰომეროსის ქვა, სადაც გადმოცემის თანახმად ჰომეროსი თავის პოემებს ასრულებდა. შემდგომში აქვე იყო სკოლა, რომელსაც ჰომერიდები უძღვებოდნენ.

ამ რელიკვიის სანახავად დასკალოპეტრაში მთელი მსოფლიოდან ჩადიან ჰომეროსის თაყვანისმცემლები.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

**სურათზე: მანანა ხომერიკი მარმარილოს ფილასთან, რომელზეც ამოკვეთილია ჰეროდოტეს სიტყვები ქიოსთან მიმართების შესახებ.**

წკეპლიკა

# აპრილის თეზისები და აგვისტოს პრინციპები

**დიდგორობა როგორ არ მიყვარს, როგორ არ მეამაყება — კიდევაც მიყვარს და კიდევაც მეამაყება, ოღონდ ისეთი დამუშავებულ — დამიშავებული, ისეთი დაწყობილ-ჩაწყობილი, როგორც აგერ, „გუშწინ“ იყო — არა!**

ამ ჩვენი პრეზიდენტისათვის, ძია სემისგან დალოცვილისათვის, ყოველი დღე ისტორიულია 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ; ისევე როგორც ისტორიულია ყოველი პრეზიდენტული სიტყვა (რა ვუყოთ, რომ შიგადაშიგ ისტერიულიც გამოერევა ხოლმე — ვის არ მოსვლია!..ძ; აგერ, ბოლო დიდგორობაზე გამოსვლაც ისტორიული კი არა, ულტრაისტორიული გახდება „გაჟღერებული“ ხუთი პრინციპის წყალობით (ვუწოდოთ მათ „აგვისტოს პრინციპები“; დიდი ბელადის ლენინის „აპრილის თეზისებში“ რამდენი თეზისი შედიოდა, გამოგიტყდებით არ მახსოვს...ძ.

გავიხსენოთ ეგ დიდებული ხუთეული, უეჭველად რომ იქცევა ქვეყნის ბედნიერი მომავლის საფუძვლადაც და საწინდრადაც (მოკლედ ჩამოთვლით — ვრცელი კომენტარები ხომ თვით ჩამომყალიბებლის ენა-პირით გაკეთდაძ: ერთიანობა; თავისუფლებისმოყვარულობა; ალმშენებლობა-ალმშენებლობა; რეფორმები-რეფორმები; გამარჯვება-გამარჯვება (ბოლო სამი ორ-ორჯერ გამეორებითძ.

ის საბავშვო გამოცანაც გავიხსენოთ: ერთი ვინმე სულიერი მიწა-მიწა მძრომელია... ჰოდა, ნახავთ აგერ, სულ ახლო მომავალში როგორ იდეოლოგიურ მუშაობას გააჩაღებენ ამ ხუთი პრინციპის გარშემო. სახელისუფლებო **„მიშა-მიშა მძრომელია“** გაზეთები და ტელეარხები...

ხსენებული ხუთი პრინციპი დიდი მნიშვნელოვნების მიუხედავად, გავკადნიერდები და თავს ხუთი შემხვედრი პრინციპის შეთავაზების ნებას მივცემ — ქვეყნის მეთაურისათვის შეთავაზებისა:

1. დარჩენილ საქართველოს მთლად საკართველოდ ნუ გადააქცევ, ოდენ ხუშტურით ნუ მართავ, გაუწიე ანგარიში საზოგადოებრივ აზრს, მოსახლეობის, ხალხის ნება-სურვილს (იმ ხალხს არ ვგულისხმობ, შენთან შეხვედრებზე დაწყობილ-„ჩაწყობილად“ რომ მოჰყავთ...ძ;

2. შენ, ქვეყნის თუნდაც უმაღლეს-უგრძელესი პირი, ნურასოდეს ნუ დადგები კონსტიტუციაზე თუ კანონზე მაღლა;

3. ნუ უშვებ ამგვარ დაქცეულ ქვეყანაში, ამგვარ საცოდავ სოციალურ ფონზე შენთა ჩინოვნიკთა თუ ხელქვეითთა ამხელა ხელფასებსა და პრემიებს;

4. ნაირგვარ ზიზილ-პიპილებზე ნუ გაანიავებ ხაზინის მილიონებს;

5. ამურის მაცდური კარნახით ნუ დანიშნავ მინისტრებად ქალებს და შენდამი პირადი ერთგულების ნიშნით — მინისტრებად კაცებს...

შეთავაზებით კი ვთავაზობ, მაგრამ ვაითუ ყბაჩასავით დავაგვიანე... არადა, მცირე იმედი მაინც მიბჟუტავს — ეგების ეს პრინციპები მოიწონოს და მრჩევლად აიყვანოს რამდენიმეათასლარიანი ხელფასით... თუ, რასაკვირველია, სხვანაირად არ „ამიყვანს“...

**ბერდია ბედოიძე**

კრიმინალი

# დაკანონებული უკანონობა,

## ანუ როდესაც ერთი კაცი კანონზე მაღლა დგას

**რაც დრო გადის, და არჩევნები ახლოვდება, ქვეყანაში ყველა სფერო და ყველაფერი ერთი პირის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაფართოებულ უფლებებში შედის. მას შეუძლია თუნდაც უკანონო გადაწყვეტილებების მიღება და შემდომ მისთვის კანონის ძალის მინიჭება.**

**საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ბრძანებულებით დამტკიცებულია დებულება შეწყალების კომისიის მუშაობის შესახებ. ამ აქტით შეწყალების კომისია ვალდებულია, ყველა მსჯავრდებულის (განცხადების შემომტანის) საქმე განიხილოს თუ მას მოხდილი აქვს სასჯელის ნახევარზე მეტი, არ არის რეციდივისტი და წარსულშიც არა აქვს მსგავსი დანაშაული ჩადენილი. ამ ცოტა ხნის წინათ დებულების მერვე პუნქტში შევიდა ცვლილება, რომლის ძალით პრეზიდენტი ერთადერთი პირია, ვისაც აქვს უფლება ერთპიროვნულად შეიწყალოს პიროვნება ნებისმიერ დროს, თუნდაც მას არ ჰქონდეს მოხდილი სასჯელის ნახევარიც კი.**

**საზოგადოების არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად, შეწყალების კომისიის მუშაობა დახურულია. მოსახლეობისთვის თვალის ასახვევად ხელისუფლებამ კომისიის შემადგენლობაში რამდენიმე სამოქალაქო პირი, ნაცების მხარდამჭერი შეიყვანა, რაც, ცხადია, სიტუაციას ვერ გააუმჯობესებდა.**

**პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე ამტკიცებს, რომ შეწყალების კომისია არის ფარსი. ის კი წყვეტს ვილაცეების საკითხებს, მაგრამ ამის შემდეგ ჯერ პროკურატურა ფილტრავს, შემდეგ კი იუსტიციის მინისტრი ადეიშვილი აძლევს საბოლოო სახეს. ამის გამოა, რომ ხშირად სააკაშვილისთვის ხელმოსაწერად შეაქვთ სახეცვლილი სიები. დიქტატორი საკუთრივ მინიჭებული უფლებებით ისეთი ხალხის შეწყალებაზე აწერს ხელს, ვისაც არა აქვს მოხდილი სასჯელის ნახევარი, არის რეციდივისტი და ა. შ. მოკლედ კანონიერ ძალაში შეჰყავს უკანონობა, — ამბობს დეპუტატი. როგორც სტატისტიკით ირკვევა, ხშირია შემთხვევები, როდესაც შეწყალებულს ისევ ციხეში აბრუნებენ ახლად ჩადენილი მსგავსი ან უფრო მძიმე დანაშაულისთვის.**

**შეწყალებულთა სიები არ ქვეყნდება, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების უსაფრთხოებისთვის, ამბობენ არასამთავრობოები.**

**ზაზა ბილიხოძე**

ინფორმაცია

## სახალხო დამცველი მესაკუთრეთათვის ქონების დაყადაღების გასაჩივრების უფლებას ითხოვს

**სახალხო დამცველი პარლამენტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების რეკომენდაციით მიმართავს. როგორც ომბუდსმენის აპარატიდან იტყობინებიან, ცვლილებებით მესაკუთრეს საშუალება უნდა მიეცეს, სასამართლოში გაასაჩივროს მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გამოყენებული ყადაღა.**

**— საქართველოს სახალხო დამცველს უკანასკნელი თვეების განმავლობაში არაერთმა პირმა მიმართა განცხადებით, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ საგამოძიებო ორგანოების მიერ მათი ქონების ან საბანკო ანგარიშების დაყადაღების გამო უკანონოდ იზღუდებოდა მათი საკუთრების უფლება. ამავდროულად, სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო რამდენიმე, საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, საქმის შესწავლა, რომელიც დაკავშირებული იყო „გლობალ კონსალტინგისა“ და სტუდია „მაესტროს“ საკუთრებაში არსებული სატელიტური ანტენების, ასევე სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების დაყადაღებასთან, — ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში. მათივე ცნობით, ხსენებულ საქმეთა განხილვისას გამოიკვეთა, რომ როგორც ნივთების, ასევე საბანკო ანგარიშების დაყადაღება შეეხებოდა იმ პირთა ქონებას, რომლებიც სისხლის სამართალწარმოებისას მხარეს არ წარმოადგენდნენ, არ იყვნენ ბრალდებულნი.**

ინტერპრესი

მამულიშვილი

# ვინ იყო აფხაზი ქედუხრელი რაინდი?

## პოლიტიკური რეცენზია ნატო მარშანიას წიგნზე

**ახლახან საქართველოს ეროვნულ არქივში ნატო მარშანიას წიგნის „ქედუხრელი რაინდის“ პრეზენტაცია შედგა. იგი ეძღვნება აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და მთავრობის პირველი თავმჯდომარის არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.**

**ვინც ქალბატონ ნატო მარშანიას წიგნს წაიკითხავს, მის წინაშე არზაყან ემუხვარი წარსდგება, როგორც სტრატეგიულად საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი. ის ნათლად ხედავდა იმ შედეგებს, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში გადადგმულ ნაბიჯებს. მისთვის საკითხების ცალმხრივად, — აფხაზების ან ქართველების სასარგებლოდ გადაჭრა, — კატეგორიულად მიუღებელი იყო. ის მიზნად ისახავდა არა მარტო „ქართული საქმე ყოფილიყო მოგვარებული აფხაზეთში, არამედ აფხაზური საქმეც — საქართველოში“.**

უკვე ემიგრაციაში მყოფი არზაყან ემუხვარი მ. უზირიას და ი. ჯანდიერთან ერთად ხელს აწერს პოლიტიკურ კომისიაში განსახილველ დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ აფხაზი შოვინისტები დიდი ხანია, ცდილობენ, აფხაზეთი დამღუპველ ისტორიულ გზას, — ღრმა ნაციონალური დაპირისპირების გზას გაუყენონ. თუ ჩაფიქრებული დანაშაული განხორციელდება (**საუბარია მუჰაჯირების მასობრივ ჩამოსახლებაზე, — ზ. კ.**), აფხაზეთი საქართველოსთვისაც და აფხაზეთისთვისაც დაკარგულია!

აფხაზეთი ქართველებისა და აფხაზების გარეშე, — სწორედ ამ ვერაგულ ამოცანას ემსახურებოდა მოსკოვის პოლიტიკა მაშინაც, როცა ის აფხაზების თურქეთში გადასახლებაზე „ზრუნავდა“ და ახლაც, როცა მის მიერვე დამოუკიდებლად აღიარებულ აფხაზეთის დაცვაზე „ზრუნავს“.

აფხაზეთის სახალხო საბჭომ არზაყან ემუხვარის თავმჯდომარეობით 1919 წ. 20 მარტს ისტორიული დოკუმენტი მიიღო, — „**აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას“.** ცოტა მოგვიანებით, 1921 წ. 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად დამტკიცებული იქნა „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულებები“, (**შემუშავებული არზაყან ემუხვარის უშუალო მონაწილეობით, — ზ. კ.**).

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ აქტს უპირატესი სამართლებრივი ძალა აქვს ოკუპანტი ბოლშევიკების მიერ მიღებულ ყველა სხვა აქტთან შედარებით. ის უნდა მივიჩნიოთ ამოსავალ პირობად ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა მოწესრიგებაში.

არზაყან ემუხვარს აფხაზეთის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ყველა ხედავდა, რომ ის დემოკრატობანას კი არ თამაშობდა, როგორც ეს დღევანდელ საქართველოში ხდება, არამედ რეალურ დემოკრატიას უყრიდა საფუძვლებს. ასე, მაგალითად, 1919 წ. 13 თებერვალს აფხაზეთში პირველად ჩატარდა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები. არზაყან ემუხვარის ყოველდღიური მზრუნველობა არც განათლების სისტემას აკლდა: 1920 წ. 14 აგვისტოს მიიღეს გადაწყვეტილება დაწყებითი სასოფლო-სამეურნეო სკოლების შექმნის შესახებ, რომელსაც არზაყან ემუხვარი აწერდა ხელს. ცოტა უფრო ადრე, არზაყან ემუხვარი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი და ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიატიც იყო.

ძნელია მოიძებნოს საქართველოზე ასე უზომოდ შეყვარებული კაცი. მოგვიანებით, ასევე ემიგრაციაში მყოფი, 1919-1920 წ.წ. თბილისის გენერალ-გუბერნატორი შალვა მაღლაკელიძე არზაყან ემუხვარის უთუოდ დიდ დამსახურებად მიიჩნევდა იმას, რომ **„აფხაზეთის ა/რ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებშია“**... რომ ის შეიძლება უფრო მეტად არის ქართული სულის მატარებელი, ვიდრე ჩვენი ნამდვილი ქართველები. „**მე არ ვიცი, ვინ იყო შენში უფრო ძლიერი, — ის კეთილშობილი დედა, რომლის მკერდზე აღიზარდე აფხაზეთში, თუ დედა — ქართლისა, რომლის ბედსა და უბედობას სიყრმიდანვე შენ ეზიარე“,** — ასე დასტიროდა არზაყან ემუხვარს საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრი კ. კანდელაკი და თავს ხრიდა მისი ხსოვნის, თავდადებული და ნაყოფიერი მოღვაწეობის წინაშე.

არზაყან ემუხვარი საქართველოდან თავისი სურვილით არ წასულა. ის, როგორც აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი, მედგრად ებრძოდა ყოველ მხრიდან შემოსულ ოკუპანტებს.

ემიგრაციაში წასვლის დღიდან იწყება მისი ცხოვრების და მოღვაწეობის მოწამეობრივი გზა. მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა იმ დიდი საქმისთვის, რასაც ყველაფერი შესწირა. ემიგრაციაში ყოფნა მან მთლიანად ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეს დაუქვემდებარა. **„ეს მიზანი უნდა აერთიანებდეს ყველა მამულიშვილს“,** — წერდა იგი აკაკი ჩხენკელს 1934 წელს.

შეუძლებელია ილაპარაკო არზაყან ემუხვარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და არ შეეხო მისი ცხოვრების იმ ასპექტებს, რომლებშიც იხსნება მისი, როგორც მოსიყვარულე მეუღლისა და მამის კეთილშობილება. მისი კავშირურთიერთობების ერთადერთი საშუალება მიწერ-მოწერა და წერილები იყო. ვინც ამ წერილებს გაეცნობა, დარწმუნდება არზაყან ემუხვარის მაღალ მოქალაქეობრივ და მორალურ-ზნეობრივ მრწამსში. უფროსი ვაჟიშვილის ჯუჭიკოსადმი მიწერილი წერილები დიდაქტიკური აღზრდის სანიმუშო მაგალითია. „დედას ჩაეკონე“, „კომუნისტს ყური აუწიე“, ხშირად იწერებოდა იგი. „კომუნისტად არზაყან ემუხვარი“ უმცროს ვაჟიშვილს, გივი ემუხვარს მოიხსნიებს. „...რვა



მარიამ ჩიკვაიძე

დღის ვყოფილვარ, — იგონებს გივი ემუხვარი (დაიბადა 1921 წ. 14 თებერვალსძ, — როცა მამაჩემი უკვე გამზადებული იყო ემიგრაციაში წასასვლელად: შემოსულა, ცხვირზე ხელი დაურტყამს და უთქვამს: **„შენ ვინ დაიბადე, კომუნისტების მეფეხუროო“.** არზაყან ემუხვარის დიდსულოვნებაზე მეტყველებს ამონარიდი ერთ-ერთი წერილიდან: —კუჭუჭი, დედა გებრალებოდეს, წერილებით ხშირად გაახარე ხოლმე: კარგი იქნება, თუ შენ გამზრდელებსაც გაახარებ შენი ამბის გაგებით (თავის ავტობიოგრაფიაში კუჭიკო წერს: „ვიზრდებოდი გამზრდელებთან — კვარაცხელიების ოჯახში“ (**ანუ ჩემი დედ-მამის ოჯახში, — ზ. კ.**). კუჭუ, ჩემთან ცხოვრობს ლეონტი ჟღენტი. თვითონ კარგად არის, მარა ცოლშვილის ამბავი არ იცის და ძლიერ წუხს... თუ მოახერხებ და მათ ამბავს შეატყობინებ, ძალიან სიკეთეს იზამ“...

მკითხველო, ეს ის ლეონტი (ვიქტორიძ ჟღენტია, რომელიც ბოლშევიკი პროვოკატორების ხელში ბრმა იარაღად იქცა და არზაყან ემუხვარსა და ემელიანე ლომთათიძეს საბჭოთა კავშირის აგენტობა დასწამა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უცხოეთის ბიუროს დადგენილებით გამართულ პარტიულ სასამართლოზე ლეონტი ჟღენტი ამხილეს. მან აღიარა: ...არზაყან ემუხვარი და ემელიანე სუფთები არიან და არც არაფერში შეიძლება მათი დადანაშაულება.

ბოლშევიკები არც გარეთ ისვენებდნენ.... განსაკუთრებით უჭირდათ ემიგრაციაში წასული სოციალ-დემოკრატების იმ ოჯახებს, ვინც საქართველოში დარჩა. გამონაკლისი არც არზაყან ემუხვარის ცოლ-შვილი და ახლობლები იყვნენ. ბოლშევიკთა თარეშს შეეწირა ვლადიმერ (კუჭიკოძ არზაყანის ძე ემუხვარი. ეს უნიჭიერესი და კეთილშობილი ახალგაზრდა იმ გარეწარმა ბოლშევიკებმა იმსხვერპლეს, რომლებიც ადამიანთა დაპატიმრება-გადასახლება-დახვრეტაში ერთმანეთს რომ ეჯიბრებოდნენ. კუჭიკოზე და მის დედ-მამის ტრაგედიაზე ცალკეა სალაპარაკო, რომ მსგავსი რამ არსად და არც ერთ დროში არ განმეორდეს.

არზაყან ემუხვარის მეუღლე მარიამ ჩიკვაიძე 1943 წელს გარდაიცვალა. აფხაზეთისა და აფხაზებისადმი სიყვარულში თავის მეუღლეს ის ტოლს არ უდებდა. მშობლებისთვის გაგზავნილ წერილში მარიამი წერდა: **„...ხალხი სამაგალითო ხასიათისაა, ყველა თავს გვევლება, გვარიანად შევეთვისე აქაურ ცხოვრებას“...**

მარიამი თავის მეუღლესთან ერთად სათავეში ჩაუდგა სამურზაყანოში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ორივენი — არზაყანი და მარიამი ერთად ეწეოდნენ ესოდენ დიდი მნიშვნელობის საქმეს.

არზაყან ემუხვარი საღად მოაზროვნე დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიის მომავალი. იგი გადაჭრით უარყოფდა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზების წინადადებას — სამურზაყანო საქართველოს შემადგენლობაში შესულიყო. ჩვენ ამით სამუდამოდ დავკარგავთო აფხაზეთს.

სეპარატისტულად განწყობილ აფხაზებს რას ვერჩით, როდესაც თვით ქართველმა პოლიტიკოსებმა და პოლიტოლოგებმა არაერთხელ წამოაყენეს აფხაზეთის დაყოფის იდეა ფორმულით, — გუმისთამდე საქართველოს, გუმისთის იქით — აფხაზ სეპარატისტებს. ამის გამგონე არზაყან ემუხვარი, როგორც იტყვიან, საფლავშიაც კი გადაბრუნდებოდა.

არზაყან ემუხვარი ტრაგიკული პიროვნებაა. მან საკუთარ თავზე იწვნია ბოლშევიზმისა და ბოლშევიკური რუსეთის ვერაგობა. მისი თანამებრძოლები მასში იმ პიროვნებას ხედავდნენ, რომელსაც შეიძლება ბოლომდე ენდო და ბრძოლაში გაჰყვე. ქართველთა მთელი ემიგრაცია მიჰყვებოდა არზაყან ემუხვარს უკანასკნელ გზაზე — პარიზიდან ლევილში. „საფლავის პირას მდგარი ქართული ემიგრაცია არზაყანსა და საქართველოს ერთად ტიროდა, ვკითხულობთ ნონა ქობალიას წერილში (აფხაზეთის ხმა, 1991, 13 ნოემბერიძ ამ განცდამ ათქმევინა ემიგრანტ ზ. ერაძეს: „მისი გზა და საქმიანობის მანათობელი ლამპარი იყო სამართლიანობა, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობა... ამ პრინციპისათვის მას არასოდეს უღალატია. იგი ერთნაირი ერთგულებით ემსახურებოდა საერთოდ საქართველოს და კერძოდ, აფხაზეთს“... არ ყოფილა შემთხვევა, რომ არზაყანი მიმხრობოდა უსამართლო მხარეს, არ ყოფილა ადამიანი, რომლისთვისაც მას უსამართლოდ რამე ზიანი მიეყენებინოს, ის კერძო ცხოვრებაში იშვიათი პიროვნება, მორიდებული და თავაზიანი იყო, — იგონებენ მისი თანამებრძოლები.




### არზაყან ემუხვარს საქართველო ეძახის

**არზაყან ემუხვარის საქართველოში გადმოსვენება ყოველთვის აქტუალური იყო.** ლევილის სასაფლაო, 1939 წელი, **კონსტანტინე კანდელაკი:** „საქართველოს ემიგრაციამ კიდევ გაიღო ერთი დიდი მსხვერპლი... მაგრამ მადლიერი ქართველი ერი და რაინდი ბუნების აბხაზობა არასოდეს დაივიწყებენ მის ღვაწლს და პირველ შემთხვევისთანავე მის ცხედარს დაუბრუნებენ სამშობლოში ქვეყანას. ვაი, რომ ბევრმა არც კი იცის, რა დიდი განძი დავკარგეთ შენში“...

**აკაკი ჩხენკელი:** „მე დარწმუნებული ვარ, რომ არც შენს ძვლებს დატოვებენ აქ... განთავისუფლებული სამშობლო მიგიკრავს შენ გულში!“

არზაყან ემუხვარის გადმოსვენებაზე ზვიად გამსახურდია სერიოზულად ფიქრობდა. 1991 წელს, — იგონებს არზაყან ემუხვარის უმცროსი ვაჟიშვილი გივი ემუხვარი, — ზვიად გამსახურდიამ მთხოვა, ჩავსულიყავი სოხუმში, შევხვედროდი აფხაზებს და მამის გადმოსვენების თაობაზე მათი აზრი გამეგო. „თუ უარს მეტყოდნენ, ჟორდანიას და ემუხვარს, მთაწმინდაზე გადმოასვენებდნენ“.

**არზაყან ემუხვარის გადმოსვენება თავის დროს ელოდება. ელოდება იმ ცვლილებებს, რომლებიც სულ მალე, ოქტომბერში უნდა განხორციელდეს. დარწმუნებული ვარ, არზაყან ემუხვარი საქართველოს და თავის მშობლიურ აფხაზეთს ხელახლა მოევლინება.**

ნატო მარშანიას წიგნი „ქედუხრელი რაინდი“ ქართულ-აფხაზური ისტორიოგრაფიის დიდი შენაძენია. მდიდარი დოკუმენტური მასალების მოხმობით მისმა ავტორმა გააცოცხლა თითქმის მივიწყებას მიცემული, ჭეშმარიტად ლეგენდარული პიროვნების, არზაყან ემუხვარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფურცლები.

**ზაურ კვარაცხელია,**
**პროფესორი.**

**P. S. ახლახან ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა: ბიძინა ივანიშვილს („ქართული ოცნების“ კოალიციასთან ერთად) ყველაზე უკეთ და ყველაზე ოპერატიულად ძალუძს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ ოცნების აღსრულებას საფუძველი პირველ ოქტომბერს ჩაეყრება.**

**ზ. კ.**

№155. ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 2012 წელი.

# ნაციონალებს ქენრის ორმო არ ეთმობათ

— ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მრჩება, როდესაც სააკაშვილის გამოსვლებს ვუყურებ. ის ასეთივე ემოციით ლაპარაკობდა 2007 წელს, როდესაც ლიახვის ხეობის სოფლებში დადიოდა და მოსახლეობას გარანტიას აძლევდა, თუ კონფლიქტი მოხდა, თქვენი თავიდან ერთი თმა არ ჩამოვარდება, თქვენს ღირსებას მე დავიცავო. მერე ვნახეთ, როგორ გადაიბუგა ეს სოფლები და სააკაშვილმა ხელიც ვერ გაანძრია. გავიხსენოთ, რომელი პირობა შეასრულა სააკაშვილმა? 2007 წელს ამბობდა, — რამდენიმე თვეში აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს დავიბრუნებთო, 2008 წელს ნატოში ვიქნებითო, მაგრამ... ან მისი ნათქვამი „არ შევარჩენ“ რას ნიშნავს? ომს დაიწყებს? იმის მაგივრად, რომ შევურიგდეთ ჩვენ ხალხს აფხაზებს და ოსებს და ახალი ცხოვრება დავიწყოთ ნამდვილად დემოკრატიულ სახელმწიფოში, სააკაშვილი იმუქრება და შანსებს არ უტოვებს ქართველ საზოგადოებას, რომ შერიგება მოხდეს და მომავალი მსხვერპლი არ დავუშვათ.

თუ მართლა გვინდა რომ დაღუპულ ბიჭებს პატივი მივაგოთ, მომავალში ომი აღარ უნდა დავუშვათ. შურისძიებით კი არა, მომავლის იმედით უნდა განვიმსჭვალოთ და ნორმალური სახელმწიფო შევქმნათ იმ ხალხთან ერთად, ვისთანაც ომი დაუშვა სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში.

**— სააკაშვილმა განაცხადა, — თუ რუსეთის კაცი მოვა ხელისუფლებაში, ჩვენი მტერი რამდენიმე რეგიონს კიდევ აგვწაპნისო. ხომ ნათელია, ვინც იგულისხმა „რუსეთის კაცში“.**

— ბიძინა ივანიშვილს აბრალებს იმას, რაც თვითონ უკვე გააკეთა? თვითონ რადგან რუსეთის კაცია, ამიტომ დათმო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი? ჩემს შემდგომ მეორე რუსეთის კაცი მოვა და ის კიდევ დათმობსო — ეს უნდოდა ეთქვა? სირცხვილია, ილაპარაკო სხვაზე, როდესაც უკვე დაუშვა რუსული პროექტი. სააკაშვილი დაემორჩილა რა რუსეთის აგენტ კვიციანს, კოდორში ჯერ ჯარები შეიყვანა, მერე კი რუსებს ჩააბარა. რუსეთის ფე-ეს-ბემ ვლადიმერ სანაკოევის დახმარებით ჯერ სამხრეთ ოსეთი აღადგენინა სააკაშვილს და მერე ეს ტერიტორია დაიპყრო. რუსეთი არწმუნებდა სააკაშვილს, რომ ცხინვალი არ აინტერესებდა. ამის შესახებ ვანო მერაბიშვილმა განუცხადა აშშ-ის ელჩს ჯონ ტეფტს 2007 წლის მაისში, როდესაც ტეფტი ჩამოვიდა სოხუმიდან და თქვა, — შეიძლება ომი დაიწყოსო. მერაბიშვილმა უთხრა, არავითარი ომი არ იქნება, რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი ინტერესი არ აქვს და ომის საშიშროებას ვერ ვხედავთო.

2007 წლის 12 დეკემბერს სააკაშვილმა უნივერსიტეტში გამოსვლისას თქვა, — რუსებს ჩემთან წამოსცდათ, რომ ცხინვალი არ აინტერესებთო. ყველამ კარგად ვნახეთ 2008 წლის აგვისტოში როგორ არ აინტერესებდა რუსეთს ცხინვალი. როცა ომის შემდგომ სარკოზი ჩამოვიდა და მოსკოვიდან მედვედევის ხელმოწერილი 6-პუნქტიანი შეთანხმება ჩამოიტანა, მის მეექვსე პუნქტში ეწერა, — საერთაშორისო შეთანხმებით განისაზღვროს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსიო. ამ საკითხზე გერმანიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი მუშაობდა, მაგრამ სააკაშვილმა შეთანხმებიდან ამოიღო მეექვსე პუნქტი, რომელზე ხელმოწერაც საფრანგეთმა აიძულა მედვედევს. ამ შემთხვევაში სააკაშვილი უფრო რუსი იყო, ვიდრე მედვედევი. ეს არის რუსული პროექტები, რომელთაც ხორცი სააკაშვილმა შეასხა, გამოვიდეს ვინმე სააკაშვილის ექსპერტი და ჩამომითვალოს პუნქტობრივად ივანიშვილის რუსობა.

**— ხელისუფლება ხშირად ახსენებს, რომ ივანიშვილმა რუსეთში იშოვნა ფული.**

— ბენდუქიძის ფული რუსული არ არის? სააკაშვილს რომ აფინანსებდა ივანიშვილი, მაშინ ეს ფული რუსული არ იყო და საკუთარი თავის პოლიტიკურად დაფინანსება რომ დაიწყო, მაშინ გახდა ეს ფული რუსული? ეს არ სჯერათ ყველაზე ღრმა სოფლებშიც კი.

**— პრეზიდენტმა მთავარი ოპონენტის მისამართით თქვა — მეტი საქმე არ მაქვს, ჩვენი აშენებული თქვენ გადმოგაბაროთ და დაგანგრევინოთო.**

— სააკაშვილმა დაანგრია სახელმწიფო, დათმო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ამჟამად წყალტუბოში ვცხოვრობ და ჩასაფრებული ვარ წყალზე. იმის მაგივრად, რომ წინასაარჩევნო კამპანია მქონდეს, ველოდები წყალი როდის მოვა, რომ ავზი ავავსო. ავზს ისე ვერ ავავსებ, თუ ძრავა არ ჩავრთე. თუ ავზის ავსება ვერ მოვასწარი, მერე მთელი დღე წყალი არ მაქვს. მაღაზიაში ვყიდულობ 10 ლიტრ წყალს და იმით ვრეცხავ უნიტაზს. აი, ეს არის სააკაშვილის საქართველო. სააკაშვილმა ხალხი ონკანებს მიაბა. არ უნდა მუშაობდე, სახლში უნდა იჯდე, რომ ერთი ვედრო წყალი მაინც აავსო. ასე ცხოვრობს ხალხი წყალტუბოში 21-ე საუკუნეში. მათ ენატრებათ საბჭოთა კავშირი, რადგან 24-საათიანი წყალმომარაგება ჰქონდათ. რომელ აშენებაზეა ლაპარაკი? სააკაშვილი ამბობს ცათამჯენები ავაშენეთო, და სად ააშენა? სააკაშვილმა მხოლოდ გაარემონტა რუსეთის იმპერიის დროს აშენებული სახლები. ისევე როგორც გაარემონტა და არ აუშენებია სასტუმროები „აჭარა“ და „ივერია“. ქუთაისში ერთადერთი რამ — პარლამენტის შენობა ააშენა და იქაც ანტიკური პერიოდის ღონისძიება განახორცილა მსხვერპლშეწირვით. პარლამენტის მშენელობა დედა-შვილის მოკვლით დაიწყო და ერთი მუშის სიკვდილით დაასრულა. სააკაშვილი სისხლით აშენებს სახლებს და ეს არის მშენებლობა? სინამდვილეში ის თვითონ ანგრევს ყველაფერს და ხალხს ხოცავს მშენებლობის დროს. მონური შრომით კეთდება ყველაფერი. პარლამენტის მშენებლობაზე მომუშავეების უმეტესობას ჯერ ხელფასი არც აუღია.

ბათუმის აშენებას თუ გულისხმობდა სააკაშვილი, ის თურქებმა ააშენეს და ბათუმიდან მთელი ფული თურქეთში გაედინება. რა აშენდა თბილისში საქართველოს ბიუჯეტით? შს სამინისტრო და მის მოპირდაპირედ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი. ეს მართლაც აშენდა თბილსში, მაგრამ ქუთაისში მხოლოდ ფასადები გარემონტდა. თუ ქუთაისში ჩამობრძანდებით, გაჩვენებთ გარედან გარემონტებულ შენობას, სადაც პირველი სართულიდან ცა ჩანს. ამ სახლს მხოლოდ ფასადი აქვს და არათუ სახურავი, სართულებიც არ აქვს შუაში. ესაა სააკაშვილის აღმშენებლობის რეალური სახე. რა თქმა უნდა, ჩვენ ამგვარ მშებელობას გავაჩერებთ. იმ შენობას სართულებსაც გავუკეთებთ და სახურავსაც. ფასადების გარემონტება მშენებლობა არ არის.

რაც შეეხება განცხადებას, — „მეტი საქმე არ მაქვს ჩვენი აშენებული თქვენ გადმოგაბაროთ“, ეს ავტორიტარის განცხადებაა. ასე ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ ჩაუშესკუ, მუბარაქი, კადაფი და პინოჩეტი. სააკაშვილი კარგად დაფიქრდეს, როდესაც ამას ამბობს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, სააკაშვილი აუცილებლად არჩევნებით გავისტუმროთ. როდესაც ხელისუფლებას არჩევნებით ისტუმრებ, მერე გაქვს ლეგიტიმური უფლება, რომ გაასამართლო და პასუხი მოსთხოვო. თუ სააკაშვილი ინსტინქტურად იგრძნობს, რომ არჩევნებით მიდის, მას ურჩევნია რევოლუციით წავიდეს, ისე როგორც წავიდა შევარდნაძე. როდესაც ავტორიტარი მმართველი რევოლუციით მიდის, მაშინ იძულებული ხარ მასთან შეთანხმება გააფორმო, რომ სისხლი არ დაღვაროს და თან არ წაიყოლოს უამრავი სიცოცხლე. ამიტომაც მოსული ხელისუფლება იძულებულია გაურიგდეს მტარვალ მმართველს, ოღონდ სისხლი არ დაიღვაროს. ამის გაკეთება მოგვიწია შევარდნაძესთან და აბაშიძესთან. სააკაშვილს ახლა ძალიან სჭირდება რევოლუცია, რათა თავი გადაირჩინოს, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ რევოლუცია, რომელიც სააკაშვილს სჭირდება. ჩვენ მხოლოდ არჩევნებით უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაში.

## პაატა ზაქარეიშვილი:

## საქართველოს უნდა ვაჩვენო, თუ როგორი უნდა იყოს მაჟორიტარი დეპუტატი

### „ქუთაისში პარლამენტის შენობა ააშენა და ისიც მსხვერპლშეწირვით“



რუსეთ-საქართველოს ომის 4 წლისთავზე ისევ ვნახეთ პრეზიდენტის ცრემლი. აგვისტოს ომში დაღუპული მეომრის გელა თიგიშვილის დაკრძალვაზე კასპში ჩასულმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა — არავის შევარჩენ მის სისხლსო. პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ რუსეთი ახალ-ახალი ხერხებით ცდილობს საქართველოზე კონტროლის მოპოვებას და ამისთვის ჩვენსავე თანამემამულეებს იყენებს. ამ თემაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრს, რესპუბლიკელ **პაატა ზაქარეიშვილს** ვესაუბრეთ

**სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი...**

**— მაგრამ ხელისუფლებაც არ არის უმოქმედოდ. ამდენი დაყადაღებები თქვენც ხომ გიშლით ხელს?**

— ეს ხომ სისუსტის ნიშანია. მუშტზე ის იყურება, ვისაც არგუმენტი არ გააჩნია. სააკაშვილს არგუმენტები რომ არ აქვს, ამიტომ აყადაღებს ყველაფერს. ეს არის მშვენიერი მტკიცებულება იმისა, რომ არჩევნებს ფული კი არა, სამშობლოს სიყვარული და ერთგულება იგებს. **ივანიშვილმა ქრისტეს გზა აირჩია. იტანს დამცირებას, შეურაცხყოფას, პატივის აყრას, ქონების და მოქალაქეობის წართმევას. ყოველი ჩვენგანი, ვინც ქრისტიანები ვართ, ქრისტეს გზას უნდა ვადგეთ და ივანიშვილი ჩვენგან ყველზე მეტი ქრისტიანია, რადგან ამდენ შეურაცხყოფას იტანს. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ივანიშვილს შეურაცხყოფას აყენებს, მაგრამ ეს ადამიანი მაინც ფეხზე დგება და განაგრძობს თავის ჯვრის ტარებას. ხომ ნათელია, სად არის სიკეთე და სად — ბოროტება. დაყადაღებები და ამ ხელისუფლების მეთოდები ქრისტიანი ადამიანისათვის სასაცილოა. ჩვენ სახარებაში გვაქვს წაკითხული, რომ არ უნდა შეგვეშინდეს დაყადაღებების, დევნის და რომ ფული არ წყვეტს არაფერს. არჩევნების ბედს სამშობლოს სიყვარული და მიზნისკენ მიმავალი მკაფიოდ გამოკვეთილი გზა წყვეტს.**

* * *

**— ბრძანეთ, რომ წყალტუბოში ხართ, თუმც ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, თქვენ აღარ გეყარათ კენჭი წყალტუბოს მაჟორიტარად.**

— ეს მარტო ჩემზე არ უთქვამთ. თქვეს ვალერი გელაშვილზე, გუბაზ სანიკიძეზე და კიდევ ბევრზე. ჩანს, „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა რაიონებში დაბნეულობა და უნდობლობა შემოიტანოს. როდესაც ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ზაქარეიშვილი აღარ იქნება მაჟორიტარობის კანდიდატი, მიაჩნიათ, რომ საქმიანობას წყალში მიყრიან. ხალხს ვაგებინებთ, რომ ეს შეგნებულად გავრცელებული ჭორი და ტყუილია. ეს არის ნათელი დადასტურება იმისა, რომ „რუსთავი 2“ და „იმედი“ პროპაგანდისტული ტელევიზიებია და დეზინფორმაციას ავრცელებენ. ჩემში ეჭვი ერთი წამითაც არავის შეპარვია „ქართულ ოცნებაში“. მე ვიქნები წყალტუბოს მაჟორიტარობის კანდიდატი. ეს ჭორები სახელისუფლებო ტელევიზიების და პრესის მონაჩმახია. ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ შეიძლება რამდენიმე კანდიდატი შეიცვალოს, მე არ მეხება. მინდა, საქართველოს ვაჩვენო რას ნიშნავს ნამდვილი მაჟორიტარი დეპუტატი. ჩავიხარშე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემაში, სულსა და გულს ვდებდი ციხეებში მუშაობისას და ამასვე ვიზამ წყალტუბოში. მინდა, საქართველოს ვაჩვენო რას ნიშნავს სამაგალითო მაჟორიტარი დეპუტატი.

**— რატომ გადაწყდა, რომ წყალტუბოში გეყარათ კენჭი, თქვენ ხომ ამ ქალაქის მკვიდრი არ ხართ?**

— არ ვარ წყალტუბოელი და აქ არც არავითარი ნათესაური კავშირი არ მაქვს. რადგან არავისთან მაქვს ნათესაური ბმა, ვერ მოვხვდები კლანური მმართველობის სისტემაში. ჩემს მეგობრებს, ვინც კენჭს იყრიან იმ რეგიონებში, საიდანაც არიან, ორი ამოცანა ექნებათ: გაანადგურონ არსებული კლანები და არ დაუშვან თავიანთი კლანები. ქალაქში, სადაც სწავლობდი, მოვლენ შენი კლასელები, ნათესავები, მეზობლები და ძნელი იქნება უარის თქმა. უარს ეტყვი და ხალხს მოიმდურებ. წყალტუბოში არავისთან დამჭირდება არას თქმა, თუმც „არას“ თქმა ძალიან მკაცრად ვიცი. მე მიბმული ვიქნები მხოლოდ ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებზე და საზოგადოებაზე. წყალტუბოში იმიტომ ვიყრი კენჭს, რომ აქ წლების განმავლობაში ყოველთვე ჩამოვდიოდი დევნილებთან, ვიცავდი დევნილების უფლებებს, ვსწავლობდი მათი განსახლებისა და სოციალურ საკითხებს. მართალია, დევნილებთან ჩამოვდიოდი, მაგრამ ბრმა და ყრუ უნდა ვყოფილიყავი, რომ დანარჩენი წყალტუბო არ დამენახა. ძალიან ცოტა ხანში მოვსპობ აქ ელიტურ კორუფციას, რომელიც კლანებზეა დაფუძნებული. ჩინოვნიკმა უნდა ისწავლოს ხელფასზე ცხოვრება. თუ ჩინოვნიკს ეს არ შეუძლია, კეთილი ინებოს და პოლიტიკიდან წავიდეს. წყალტუბოში ადგილობრივი პრიმიტიული პოლიტიკა ადგილობრივ ბიზნესზეა გადაბმული. იკითხავ რესტორნის და მაღაზიის მფლობელს და დაგისახელებენ გამგეობის თანამშრომლებს ან საკრებულოს წევრებს. მე 20-წლიანი სამსახური გავიარე ქართველი საზოგადოების წინაშე. ყველამ ნახა, სადაც შეიძლებოდა ქრთამის აღება (ომის დროს ტყვეთა გაცვლისას და ციხეებში), ერთი თეთრი არ ამიღია.

სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრობისას ციხეებში იმიტომ შემიშვა, კარგად იცოდა, რომ არ ვარ კორუმპირებული. მე ციხეში დანაშაულს ვებრძოდი და იქ კორუფცია მოვსპე. როდესაც ამბობენ, — კრიმინალი დაბრუნდებაო, ვერ დაბრუნდება იქ, სადაც მე ვიქნები. მე სააკაშვილის გუნდში ვებრძოდი კრიმინალს. ჩვენ დავწერეთ პროგრამა როგორ უნდა გვებრძოლა კრიმინალისა და კორუფციის წინააღმდეგ. მე ვიყავი იმ კონცეფციის ჩამომყალიბებელი, რომელიც სააკაშვილმა განახორციელა, მაგრამ დღეს დანაშაული ელიტაში გადავიდა. სააკაშვილი გახდა საქართველოს კანონიერი ქურდი და ეს მოისპობა. წყალტუბოს მაგალითზე ყველა ნახავს, რას ნიშნავს ბიზნესის და პოლიტიკის გაყოფა. შემიძლია დავიფიცო, რომ ეს ორი ცნება ერთმანეთში აქ არასოდეს არ აირევა.

**იზო რიკაძე**

**ინფორმაცია**

## კახეთში კომპენსაციების გაცემა დაიწყო

**კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის ფულადი კომპენსაციების დარიგება მიმდინარეობს. ფულად კომპენსაციას სულ 18685 ოჯახი მიიღებს. პროცესი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურიდან დაიწყო.**

**როგორც რეგიონული კორესპონდენტი იტყობინება, თანხების ადგილზე გაცემა „ლიბერთი ბანკის“ ადგილობრივი ფილიალებისა და მობილური მომსახურების ცენტრების საშუალებით მიმდინარეობს.**

**ფულადი კომპენსაციები ოჯახებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზიანების ხარისხის მიხედვით ურიგდებათ.**

**პირველი კატეგორიის დაზარალებული ოჯახები 1500, მეორე კატეგორიის 1000, ხოლო მესამე კატეგორიის 500 ლარს მიიღებენ. დაზარალებულების უმრავლესობა პირველ კატეგორიას შეადგენს. კომპენსაციების დარიგების პროცესს სოციალური მომსახურების კახეთის რაიონული მუნიციპალიტეტების მიერ მიწოდებული დაზარალებულთა სიების საფუძველზე ახორციელებს.**

ინტერპრესი

№155. ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 2012 წელი.

ქართველი ხალხისთვის სიზარმაცის და შავი სამუშაოსთვის თავის არიდების დაბრალება ხალხის შეურაცხყოფასთან ერთად მტკნარი სიცრუეა. ჯერ კიდევ როდის, გაგანია კომუნისტების დროს სიხარულით ილებდნენ რუსეთში ქართველ მშენებელთა რაზმებს, იცოდნენ რა, რომ ისინი ლამის 24-საათიან რეჟიმში იმუშავებდნენ, არყის სმას არ გადაჰყვებოდნენ რუსებივით და აღებულ ხელფასს მთლიანად თვეობით მომლოდინე, მიტოვებულ ოჯახებს ჩაუტანდნენ. დავიჯერო, ამ დამბრალებლებს ან თავად არ უნახავთ, ან მშობლებისგან მაინც არ სმენიათ თუ როგორ მუშაობდა ქართველი გლეხი ოროყიანი თოხით ყანაში უთენია ან მთვარის შუქზე? იქნებ „ცხვირაწეულ" ინტელიგენციას გულისხმობენ ისინი? ამ თვითკრიტიკის (თუ თვითგვემის) მოყვარულებმა არ იციან, რომ უცხოეთში გადახვეწილი მილიონიანი (თუ ორმილიონიანი!) კონტინგენტიდან ნახევარზე მეტი უმაღლესი განათლებითაა და თითქმის არც ერთ მათგანს თეთრ ხელთათმანებში არ დაუწყია არსად შრომა, და რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა (ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები და სხვები) უცხოეთში ყოფნის პირველ წლებში (და ბევრნი – შემდეგაც) სწორედ შავ სამუშაოს ასრულებდა მშენებლობაზე, მანქანის და ჭურჭლის სამრეცხაოებში, მუშაობდა მტვირთავად, მძღოლად, დამლაგებლად, ბავშვების და ლოგინად ჩავარდნილი მოხუცების მომვლელად?! არ იციან, რომ მათი, დიდწილად შავი შრომით ნაშოვნი ფულიდან დაახლოებით ორი მილიარდი დოლარი საქართველოში იგზავნება (გადმოირიცხება, ჩამოიტანება) და ორ მილიონ გაჭირვებულ ადამიანს ფიზიკურ არსებობაში ეხმარება?! ეს ხალხი გაურბის შავ სამუშაოს?! ესენი ან საქართველოში დარჩენილი მათი ძმები, მშობლები და სანათესავოა ზარმაცი?! „შვილივით ნაზარდ" ვაზის მომვლელ და ოჯახზე გადაყოლილ საკუთარ ხალხს ზარმაცი როგორ უნდა აკადრო კაცმა, ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს პირში!

ვინც ერზე კრიტიკულად ლაპარაკობს, მას ძალზე დიდი სიფრთხილე მართებს, რომ რაიმე სისულელე არ წამოროშოს. შეიძლება შენი ერის ზოგიერთი ტრადიცია ან ზნე-ჩვეულება არ მოგწონდეს, მაგრამ ყოველთვის უნდა ეცადო მას შესაბამისი ახსნა-განმარტება მოუძებნო, რამეთუ ყველაფერს, ყველა ტრადიციას თავისი წინაპირობა გააჩნია, და თუ ეს წინაპირობა უცნობია ან გაუგებარი ვინმესთვის (რაც ბევრს არაფერს არ ნიშნავს), მაინც არა აქვს არავის საკუთარი ხალხის დამცირების უფლება და, მით უფრო, არ შეიძლება მას გადავაბრალოთ ყველაფერი, რაც ჩვენ გვჭირს – ეს აფხაზეთის დაკარგვა იქნება, არჩევნების გაყალბება თუ „ჩვენი ღირსი" ხელისუფლების ყოლა.

ყველა უნდა იყოს საკუთარი ერის ადვოკატი, დამცველი და არა – პროკურორი. არავის(!), მიუხედავად ასაკის და თანამდებობისა, არა აქვს უფლება, ლანძღოს ხალხი და ყველა უბედურება, რაც ჩვენს თავს ტრიალებდა და ტრიალებს, ერის უტვინობით თუ მოგონილი უარყოფითი თვისებებით ახსნას. ეს დიდი მკრეხელობაა და უდიდესი ცოდვა.

რა გასაკვირია, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე ამ ადამიანებმა თავიანთი უსუსურობის დასაფარავად ლამის ერთხმად აიტაცეს (საკუთარი უცოდინარობით თუ სხვათა შთაგონებით!) აბსურდული, 100%-ით წამგებიანი იდეა ულიდერო ხალხის ყოვლისშემძლეობაზე. ოპოზიციური ლიდერების უნიათობით გაბეზრებული ზოგი პატიოსანი ადამიანიც დაუფიქრებლად აჰყვა ამ მოწოდებას – თითქოს, წარმატების მოსაპოვებლად ლიდერი არ იყოს აუცილებელი, თითქოს,შესაძლებელი იყოს გამოკვეთილი წინამძღოლის ფუნქციის და პასუხისმგებლობის ხალხზე გადანაწილება, კოლექტიური პასუხისმგებლობით ჩანაცვლება. არსებული ხელისუფლების შენარჩუნების მსურველთ თუ უცოდინარ ოპოზიციონერებს, გულუბრყვილო ხალხისთვის (არადა, საერთო ჯამში, ყველა ხალხი გულუბრყვილოა!) ადვილად დასაჯერებელი ამ იდეით, სურთ ხალხს ყალბი ილუზია შეუქმნან იმისა, რომ ისინი მარტონიც (უთავოდ ანუ ულიდეროდ!), მხოლოდ ერთად დგომით გაართმევენ ყველაფერს თავს. სამწუხაროდ, ბევრი ვერ ხვდება, რომ ესეც გარედან შემოგდებული იდეაა, ხოლო კიდევ უფრო ბევრი ვერ ხვდება იმას, რომ ეს დამარცხებისთვის განწირული იდეაა, რომ ულიდეროდ მთელი ხალხის ერთად დგომა არ ხერხდება, რომ მისი ძალა იქსაქსება და, პრაქტიკულად, ნულის ტოლი ხდება! ეს იმდენად ნათელია (და მთელი მსოფლიოს ისტორია ამის დასტურია), რომ წინამძღოლის მნიშვნელობაზე ლაპარაკი აბსოლუტურად ზედმეტიც უნდა იყოს, მაგრამ ისე ხშირად გვესმის (ყოველ შემთხვევაში, გვესმოდა), ანალოგიური აზრები ხალხის ძალაზე და ლიდერების ზედმეტობაზე ე.წ. ცნობადი სახეების გამოსვლებში, რომ არ შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ ამ ხალხის კომპეტენტურობაში.

**წარმატების საწინდარი ყოველთვის იყო ლიდერი და სწორედ ამიტომაც ყველა დროში და ყველა სახელმწიფოში, პირველ რიგში, მათ უსწორდებოდა ხელისუფლება** – ახდენდა მათ დისკრედიტაციას ათასნაირი ცილისწამებით, ან სულაც – იზოლაციას, დროებითს (დატუსაღებით) ან სამუდამოს (ლიკვიდაციით). ჭეშმარიტი ლიდერი ყველა შესაძლო საფრთხისთვის უნდა იყოს მზად და მხოლოდ მაშინ, ასეთი ლიდერის არსებობის პირობებში ვლინდება ხალხის ძალა, თორემ ცხვრების ფარას თუ არავინ ან ისევ ცხვარი ჩაუდგა, მიზანი ყოველთვის მიუღწეველი დაგვრჩება. ნურავის ეწყინება, დიახ, ცხვრების ფარა ვართ მანამდე, სანამ ჩვენი წიაღიდან ლომი არ იშვება და არ წაგვიძღვება; აი, ამის მერე ვხდებით ჩვენც ლომები, მერე ჩნდება ის დიდი ძალა, რასაც ხალხის ძალა ჰქვია. **კოლექტივით ლიდერის ჩანაცვლების იდეა კი დამღუპველია ნებისმიერი მოძრაობისთვის, მით უფრო ისეთისთვის, რომელსაც ხელისუფლების ცვლა (ან გადაგდება) აქვს უპირველეს მიზნად დასახული.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 154

გამოთქმა – „ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რისი ღირსიც არის", პირდაპირ მისწრებაა ამგვარად მოაზროვნე ადამიანებისთვის და ისინიც ხშირად გაიმეორებენ მას, აბა რას იზამენ! ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მათ არ ესმით უბრალო რამ – ამით ისინი ხალხზე შემომჯდარ რეჟიმებს ეხმარებიან სიცოცხლის გახანგრძლივებაში!

**3**. ახლა მე-19 საუკუნის პოლიტიკოსის და მწერლის ლორდ აქტონის არანაკლებ პოპულარულ და აღიარებულ, ანუ უკრიტიკოდ მიღებულ გამოთქმაზე შევჩერდეთ – **„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად"**.

ესეც, თითქოს, წყალი რომ არ გაუვა, ისეთი სიტყვებია, თანაც,მისი დამადასტურებელი ფაქტის ცოცხალი მოწმეები ხომ თავად ვართ! კი, ნამდვილად ასე ჩანს, მაგრამ მოდით, შევეცადოთ, დავადგინოთ, უპირობოდ მისაღებ ჭეშმარიტებასთან გვაქვს საქმე, თუ, უბრალოდ, – ხშირ მოვლენასთან. გამოთქმიდან ერთადერ-

# ნებისმიერი ხელისუფლება თუ ხელისუფალი ხალხისთვის გაკეთებული საქმეებით უნდა ფასდებოდეს!

## მოსაზრებები ზოგიერთი ლაპიდარული გამოთქმის მართებულობის თაობაზე



თი დასკვნის გამოტანა ხერხდება, კერძოდ იმის, რომ ძალაუფლების ხელში ჩამგდები (პიროვნება ან, პიროვნებათა ჯგუფი) ირყვნება, და აბსოლუტური ძალაუფლების შემთხვევაში ის განწირულია აბსოლუტური გარყვნისთვის. სწორი დებულებაა, არაფერია მასში საეჭვო? სანამ ამაზე დაწვრილებით შევჩერდები, მანამდე, თვალსაჩინოებისთვის სხვა ანალოგიურ გამოთქმას მოვიშველიებ, რომელიც ტყუპისცალივით ჩამოჰგავს ლორდ აქტონისას – **„ფული აფუჭებს ადამიანს"**.

თუ ფული აფუჭებს ადამიანს, მაშინ, ცხადია, დიდი ფული კიდევ უფრო მეტად გააფუჭებს მას. ეს გამოთქმა არათუ არასწორია, არამედ, იმავდროულად, აბსურდულიცაა! მართალია, დიდ ფულს, როგორც წესი, არაწესიერი (გნებავთ, ნაკლებადწესიერი) ხალხი შოულობს არაკეთილსინდისიერი გზით, და ძალიან ცოტა – სა[redacted]

შეძლებისთვის კი არ უნდა ვიღვაწ-ვიშრომოთ მთელი სიცოცხლე, და ამ შეძლების მეშვეობით - ცხოვრებისეული კეთილდღეობისთვის, განათლებისთვის, არამედ, თურმე, ჩვენთვისვე აჯობებს (ალბათ, სულიერებისთვის მხოლოდ!), თუ გაჭირვებას თავს არ დავაღწევთ და მუდამ სხვის ხელებში შემყურენი, ფულიანის მორჩილებაში დავრჩებით.

აბსურდია ეს, აბა რა არის! ვფიქრობ, თვით გამოთქმაც ფულიანი ხალხის მოგონილია უფულოებისთვის – მათი სინდისის დასაწყნარებლად, ანუ გაჭირვებასთან ადვილად შესაგუებლად! ამ გამოთქმის აბსურდულობა სულ მარტივი კითხვითაც ვლინდება: თუკი ფული აფუჭებს ადამიანს, უფულობა უკეთესს ხდის მას? უკეთეს გზას ადგება უფულო კაცი, ვიდრე ფულიანი?

ძალაუფლებაც ზუსტად ასეა, და კიდევ უფრო – მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი, ვიდრე – ფული. ძალაუფლების გარეშე, უხშირესად, ვერაფერს ვერ გახდები, თუნდაც თავზე საყრელად გქონდეს ფული (უქონელ-გაღლეტილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია). სწორედ ამიტომ ყიდულობდა ძველთაგან (და დღესაც) ფულიანი ხალხი წოდებებთან ერთად თანამდებობებსაც, ანუ ძალაუფლებას.

**ძალაუფლება, ისევე როგორც ფული, კი არ რყვნის, კი არ აფუჭებს, ის, უბრალოდ, როგორც ლაკმუსის ქაღალდი, ააშკარავებს, ამჟღავნებს ყოველ ჩვენგანში არსებულ ცუდ ან(!) კარგ თვისებებს, და აძლიერებს მათ!**

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ის ხალხი, ვინც დღეს უკანონობას სჩადის, ხელისუფლებაში მოსვლამდე ანგელოზები იყვნენ და მერე გაირყვნენ ძალაუფლებისგან?!

ძალაუფლება თუ რყვნის, ის ერთ კაცსაც გარყვნის (პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს) და ფართო უფლებებით აღჭურვილ ადამიანთა მრავალრიცხოვან ჯგუფსაც (პარლამენტარებს). ამიტომ, 2013 წლიდან დაგეგმილ ძალაუფლების გადანაწილებას პრეზიდენტიდან პარლამენტზე და პრემიერ-მინისტრზე, შესაკრებთა გადანაცვლებას კი არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, არამედ იმას, თუ ვინ მოვა ხელისუფლებაში. კომუნისტების დროინდელი – **„კადრები წყვეტენ ყველაფერს"** არის სწორედ თავი და თავი ყოველივესი – სასიკეთოსიც და საზიანოსიც. კადრების პროფესიონალიზმი და პატიოსნება (ცხადია, უპირველესად – პრეზიდენტ-დეპუტატების) განაპირობებს სახელმწიფოს განვითარებას, მის ეკონომიკურ თუ სამართლებრივ აღმასვლას. ესაა მთავარი, და არა – ყურისთვის სასიამოვნო „საპარლამენტო", ვითომდაც, ჭეშმარიტად „ხალხის" მმართველობა, განხორციელებული ჭკუა-გონება-პატიოსნობის კრიტერიუმებით „შერჩეული" პარლამენტარების ხელით (არ ვჩერდები ძალაუფლების დაქსაქსვის და პასუხისმგებლობის ასობით(!) ადამიანზე გადანაწილების მკვეთრად უარყოფით მხარეზე. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების და საკუთარი „მუხლჩაუხრელი შრომის" ანაზღაურების მექანიზმები შესანიშნავად აქვთ დამუშავებული ხალხზე ზრუნვით ფორმადაკარგულ, ლაყუჩებად ქცეულ დეპუტატებს – დახედეთ მათ სურათებს დეპუტატობამდე და პარლამენტში მოკალათების შემდეგ - თითქმის ყველას 15-20 კგ აქვს მომატებული!).

ასეა თუ ისე, დემოკრატიულმა დასავლეთმა პარლამენტზე უკეთესი, რომელშიც, ჩანაფიქრით(!) საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები ხალხის სახელით უნდა ილებდნენ კანონებს, ვერაფერი მოიფიქრა. ჩანაფიქრი კარგია, მაგრამ მწარე რეალობაში, იმ გზებით თუ ამ გზებით, სულ სხვა კატეგორიის ხალხი ახერხებს ამ ორგანოში მოხვედრას (არა მარტო ჩვენთან) და ისინი ხალხის პრობლემების გადაჭრაზე მეტად პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ.

პარლამენტის ავკარგიანობაზე ბევრს არ გავაგრძელებ, მაგრამ არ შეიძლება არ ვახსენო პრინციპულად განსხვავებული მოდელი სახელმწიფოს მართვისა, როდესაც, მართლაც ხალხი ილებდა უშუალო მონაწილეობას მასში. ასეთი მმართველობა იყო 2011 წლის ოქტომბრამდე აფრიკაში(!), „დიქტატორ" კადაფის ლიბიაში, რის თაობაზეც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობამ, დარწმუნებული ვარ, არაფერი არ იცის.

ორი სიტყვით, ლიბია წარმოადგენდა კომუნების ფედერაციას. კომუნას კი, რომელსაც პირველადი სახალხო კონგრესი მართავდა, მინიჭებული ჰქონდა სრული უფლებამოსილება, თავის რეგიონში საბიუჯეტო სახსრების განაწილების ჩათვლით. ბევრი ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, რომ თუ არა სახელმწიფოს გონივრული და სამართლიანი მართვა (პირველადი კონგრესების წარმომადგენლებისგან შემდგარი უმაღლესი სახალხო კონგრესის მხრიდან), ანუ ძალაუფლების და შემოსავლების ხალხისთვის გადაცემა-განაწილება(!), ლიბიელი ხალხი ვერ იცხოვრებდა ისე უზრუნველად, როგორადაც ცხოვრობდა კადაფის ხელში. ლიბია ჭეშმარიტად ამართლებდა თავის სახელს – ჯამახირია, რაც ხალხის მასების სახელმწიფოს ნიშნავს.მთავარი პრინციპი ლიბიის სახელმწიფოებრივი მოწყობისა იყო: **„ძალაუფლება, სიმდიდრე და იარაღი – ხალხის ხელში"!** აი, რას ამბობდა კადაფი ჯერ კიდევ 1973 წელს: **„მაშინ, როდესაც ყველა რეჟიმს ჩვეულებრივ ეშინია თავისი** [redacted]

ყველა უნდა იყოს საკუთარი ერის ადვოკატი, დამცველი და არა – პროკურორი. არავის(!), მიუხედავად ასაკის და თანამდებობისა, არა აქვს უფლება, ლანძღოს ხალხი და ყველა უბედურება, რაც ჩვენს თავს ტრიალებდა და ტრიალებს, ერის უტვინობით თუ მოგონილი უარყოფითი თვისებებით ახსნას. ეს დიდი მკრეხელობაა და უდიდესი ცოდვა.

პარლამენტის ავკარგიანობაზე ბევრს არ გავაგრძელებ, მაგრამ არ შეიძლება არ ვახსენო პრინციპულად განსხვავებული მოდელი სახელმწიფოს მართვისა, როდესაც, მართლაც ხალხი ილებდა უშუალო მონაწილეობას მასში. ასეთი მმართველობა იყო 2011 წლის ოქტომბრამდე აფრიკაში(!), „დიქტატორ" კადაფის ლიბიაში, რის თაობაზეც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობამ, დარწმუნებული ვარ, არაფერი არ იცის.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვარდების რევოლუცია უფერულდება

**საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად საქართველოს დემოკრატიას თითქოს სულ უფრო მეტი საფრთხე ემუქრება.**

რევოლუციებს ერთი საძაგელი თვისება აქვს: მას სიტუაციის წარსულ პოზიციებზე დაბრუნება ახასიათებს. ეგრეთ წოდებულმა „არაბულმა გაზაფხულმა“, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინათ ასეთი იმედისმომცემი იყო, იმედგაცრუება და წუხილი დატოვა. 2004 წლის უკრაინის ნარინჯისფერმა რევოლუციამ უარი უთხრა ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობას, თუმცა დღეს ის ძლევამოსილი პრეზიდენტია, ხოლო მისი მთავარი ოპონენტი იულია ტიმოშენკო – 2004-05 წლების გარდაქმნების სიმბოლო – ციხეშია.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოც სერიოზულ იმედებს იძლეოდა. მაშინ ამ უძველეს ქვეყანაში დემოკრატიის ქარმა დაუბერა და ასაკოვანი და ავტორიტარი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ახალგაზრდა და გარე სამყაროსთან კავშირების განმტკიცებაზე ორიენტირებულმა ჯგუფმა შეცვალა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა.

მაგრამ საკუთარი ხიბლი ვარდების რევოლუციამაც დაკარგა. სააკაშვილის თითქმის ათწლიანი მმართველობის შემდეგ ქვეყანა კიდევ უფრო გახლეჩილია, მისი დემოკრატია კი კიდევ უფრო მოწყვლადი, ვიდრე ოდესმე ამ ქვეყნის პოსტ-საბჭოთა ისტორიაში. სააკაშვილის პერსონალური ინსტიქტები კი თითქოს სულ უფრო ავტორიტარული ხდება.

ოქტომბერში საქართველო ახალ პარლამენტს ირჩევს – მალევე მას შემდეგ, რაც არჩევნები ჰოლანდიაში, ჩემს ქვეყანაში ჩატარდება. მაგრამ იმ თვალსაზრისით, თუ რა დევს სასწორზე, ამ ორ ქვეყანას შორის შეიძლება დიდი სხვაობა იყოს. ჰოლანდია, ჩვეულებრივ შეთანხმებულ კოალიციებს ირჩევს, რაც ზოგჯერ მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს აერთიანებს. საქართველო კი ღრმად პოლარიზებულია, და არ იქნება გაზვიადება თუ ვიტყვით, რომ ამ არჩევნებს შეუძლია ქვეყნის ისედაც მყიფე დემოკრატიის როგორც კონსოლიდაცია, ასევე დანაწევრება.

მეორე მნიშვნელოვანი სხვაობა ამ ორ დამდეგ არჩევნებს შორის არის ის, თუ რამდენად მაღალია საქართველოში პერსონალიებზე აქცენტის ხარისხი. არ მიმდინარეობს ფაქტობრივად არანაირი დისკუსია პოლიტიკურ პროგრამებზე, ამ პროგრამების მემარცხენე ან მემარჯვენე ხასიათზე. პოლიტიკური დისკურსი დიდწილად საქართველოს საგარეო ურთიერთობების თემით შემოიფარგლება და მას ფონად სააკაშვილის რუსეთისადმი ზიზღი გასდევს.

პერსონალიებზე ფოკუსირება უდავოა, რადგან ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სააკაშვილის დომინირება პირველად დგას ყველაზე სერიოზული გამოწვევის წინაშე. ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი და მისი კოალიცია „ქართული ოცნება“ სულ უფრო სერიოზულ წინააღმდეგობას უქმნის სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენას. და იმის გამო, რომ სააკაშვილმა იცის, რომ არცთუ დიდი მიღწევები აქვს, რომლის გამოც შეუძლია შემდგომი მხარდაჭერა მოითხოვოს, ის ივანიშვილის წინააღმდეგ პერსონალურ თავდასხმებზე გადავიდა. შეგიძლიათ ამას უწოდოთ „ივანიშვილიფიკაცია“.

ყოველთვის, როდესაც ივანიშვილს ახასიათებენ, დასავლურ გაზეთებშიც კი, მას აღწერენ, როგორც მილიარდერს, თითქოს წარმატება სალანძღავი სიტყვა იყოს, სიმდიდრე კი – პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შეუსაბამო. სააკაშვილი მუდმივად გმობს ივანიშვილის მიერ დაქირავებულ კონსულტანტებს, რომლებიც ცდილობენ, ხაზი გაუსვან ქვეყნის მომავალზე „ქართული ოცნების“ ალტერნატიულ ხედვას, და ცდილობს იმ ფაქტის მიჩქმალვას, რომ სააკაშვილის მთავრობას თავად აქვს ქართველი გადასახადის გადამხდელთა დიდი თანხები დახარჯული მისი და მისი მთავრობის რეკლამირებისთვის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში, მათ შორის კრემლთან პიარომში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ.



პერსონალური თავდასხმები პოლიტიკას ახასიათებს, თუმცა თავდასხმები, რომლებიც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგაა მიმართული სცდება დემოკრატიაში მიღებული წესების საზღვრებს. არის „ქართული ოცნების“ ელექტორალური პერსპექტივების შერყევის სისტემატიური მცდელობები – სისხლის სამართლის საქმეების აღძვრით, პრესის მანიპულაციით და დაშინებით.

როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიების გლობალური ოჯახის, საერთაშორისო ლიბერალების პრეზიდენტი, მე ვაცხადებ, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ორი პარტია საერთაშორისო ლიბერალების წევრია. მაგრამ როგორც ყველა დემოკრატს, მე მჯერა, რომ დემოკრატია თავისთავად გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე პარტია ან მოძრაობა. ქართველებს სჭირდებათ სტაბილური, სამართლიანი და კონკურენტული პოლიტიკური გარემო, რომელშიც ისინი შეძლებენ თავიანთ მომავალზე თავისუფალი არჩევანის გაკეთებას.

თუმცა ეს, როგორც ჩანს, ნაკლებსავარაუდოა. საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის სიმწვავეს სულ უფრო ხმამაღლა აკრიტიკებენ წამყვანი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები. შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა სულ ახლახან გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც ნათელს ჰფენს საქართველოში არსებულ სერიოზულ პრობლემებს. ევროკავშირმაც კი, რომელსაც პირდაპირი საუბარი არ ახასიათებს, გააფრთხილა სააკაშვილი, რომ ელოდება თავისუფალ, სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებს, და ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს, უწინარესად, მისი პასუხისმგებლობაა.

ისეთი ქვეყნისგან, როგორიც საქართველოა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მოსკოვის დომინირების ქვეშ იყო, ერთ ღამეში მტკიცე დემოკრატიას ვერ მივიღებთ. მაგრამ ევროკავშირმა მკაფიოდ უნდა განუმარტოს თბილისს, რომ საქართველოსადმი მისი ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა დამოკიდებულია დემოკრატიის გაძლიერებაზე და არა მის შესუსტებაზე. პოლიტიკა საქართველოში და, მით უფრო დებატები, რომლებიც ჩვენ ევროპაში საქართველოს პოლიტიკაზე და პოლიტიკურ პერსონალიებზე გვაქვს, უნდა გასცდეს პირად მტრობას, ერთმანეთისთვის ტალახის სროლას და წარიმართოს მომავალზე ორიენტირებული უფრო მოწიფული დისკურსისკენ. საქართველო ბევრი საშინაო და საგარეო გამოწვევების წინაშე დგას, მაგრამ ქართველებს არ აქვთ უფლება, საფრთხე შეუქმნან დემოკრატიას.

**ჰანს ვან ბალენი,**
**ევროპარლამენტის ლიბერალი ჰოლანდიელი წევრი**

EuropeanVoice.com

## დედამიწის ზურგზე




**ამერიკელმა ქალბატონმა Google Earth-ის დახმარებით აღმოაჩინა ეგვიპტური პირამიდების ორი უცნობი კომპლექსი**

**არქეოლოგმა ანჟელა ნიკოლმა ყურადღება მიაპყრო ნილოსის აუზში ორ მიდამოს. ამ ტერიტორიების გამოსახულებაზე გამოკვეთილად მოჩანდა არაჩვეულებრივი ფორმის ობიექტები. ერთ-ერთ სურათზე აღბეჭდილია გიგანტური სამკუთხედი. თუ აღმოჩენა დადასტურდება, ეს პირამიდა შეიძლება გამოდგეს გიზაში ჰეოფსის პირამიდაზე ორჯერ უფრო დიდი.**

* * *

**90 წლის ასაკში გარდაიცვალა ჟურნალ Cosmopolitan-ის მთავარი რედაქტორი**



**ჰელენ ჰერლი ბრაუნი მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ქალთა ჟურნალს ედგა სათავეში 32 წლის განმავლობაში (1965-1996). მისი ხელმძღვანელობით ჟურნალი მკითხველისთვის ყველაზე საინტერესო პრიალა გამოცემად იქცა.**

* * *

**ბრეივიკს გამოუჩნდა დამცველები: „ტამპლიერების ორდენმა“ მოითხოვა მისი გათავისუფლება და გამართლება**



**შესაბამისი წერილი „ორდენის მეთაურის მოადგილის“ ხელმოწერით მიიღეს ნორვეგიელმა პოლიტიკოსებმა და გაზეთების რედაქტორებმა. გზავნილი ელექტრონული ფოსტით გაიგზავნა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელმა საგამოძიებო კომისიამ 22 ივლისის ტერაქტის შესახებ წარადგინა თავისი მოხსენება ტრაგედიის მიზეზების შესახებ.**

* * *

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პროფკავშირების ბრძოლა მაღაროზე კონტროლისთვის დამთავრდა სისხლისღვრითა და სროლებით**

**მსხვერპლთა რიცხვი 9 კაცს აღწევს. დაღუპულთა შორის ხუთი მარიკანის პლატინის მაღაროს მუშაა და ორი პოლიციელი. მათ ბრბო მაჩეტეს მეშვეობით უსწორდებოდა. წესრიგის დამცველები იძულებული გახდნენ გაეხსნათ ცეცხლი მეშახტეებისთვის.**



## შეუცნობელი

# „X – ადამიანები“ უკვე ჩვენ შორის არიან?

**დედამიწაზე მოსახლეობის ოდენობის ბოლოდროინდელ ზრდას ის შედეგი მოჰყვა, რომ გენთა იშვიათი ვარიანტები ამჟამად სულ უფრო ხშირად მეორდება.**

ამერიკის კორნელისა და ლოს-ანჟელესის კალიფორნიის უნივერსიტეტების მეცნიერებმა მთელ მსოფლიოში 14 ათასი კაცის გენების შესწავლისას მოულოდნელად საშინელი რამ აღმოაჩინეს: **თურმე ბოლო წლებში კაცობრიობამ უწინ არნახული მუტაციები შეიძინა!** მანამდე იშვიათი მემკვიდრეობითი სნეულებები ახლა სულ უფრო ხშირად გვხვდება.

– ვიცოდი, რომ შეცვლილ გენთა იშვიათი ვარიანტები დღესდღეობით უფრო ხშირად გვხვდება, მაგრამ ვერც კი წარმომედგინა, თუ ისინი ასე მრავლად იქნებოდნენ! – გაკვირვებულმა განაცხადა გამოკვლევის ავტორმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის ეკოლოგიის, ევოლუციური ბიოლოგიისა და ბიოინფორმატიკის კათედრის პროფესორმა ჯონ ნოვემბრმა.

არადა, გასაოცარი მართლაც რომ არის: გამოკვლეულთა უმრავლესობას უიშვიათესი გენები აღმოუჩინეს. მაგალითად, გამოკვლეულ 14 ათას კაცში 10621-ს 12-დან ერთ-ერთი მემკვიდრეობითი დაავადება აღმოუჩინეს, რომელიც ადრე გავრცელებულად არ მიიჩნეოდა. ყველაზე ცნობილებიდან ესენია, კერძოდ, **გაბნეული სკლეროზი, ბიპოლარული ფსიქიკური მოშლილობა (ანუ მანიაკურიდან დეპრესიულში და პირიქით გარდამავალი მდგომარეობა), შიზოფრენია, ოსტეოართროზი და ალცჰაიმერის დაავადება.**

– ორმოცდაათი წლის წინათ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ მუტანტური გენი იმ დროს ათასიდან მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდა, დღესდღეობით კი ასეთია ხუთი კაცი, – ამბობს ჯონ ნოვემბრი.

მაინც რა არის ამის მიზეზი?



**უწინ თვლიდნენ, რომ გენეტიკური გადახრები წარმოიშვებიან მკვეთრად მომატებული რადიაციული ფონისა და მუტაგენებით გაჯერებული, დაბინძურებული გარემოს გამო. დღეს კი ყოველივე ამას კიდევ ერთი უბედურება – ჭარბმოსახლეობა დაემატა.**

– რაც უფრო მეტია მოსახლეობის რიცხოვნობა, მით უფრო მეტი ცვლილება ხდება კაცობრიობის გენოფონდში, – ამბობს კვლევის კიდევ ერთი ხელმძღვანელი მეტიუ ნელსონი. – ბოლო ათი ათასი წლის მანძილზე კაცობრიობამ ხომ რამდენიმე მილიონიდან შვიდ მილიარდ კაცამდე მოიმატა, თანაც ყველაზე დიდი აჩქარება ბოლო ორი ათასი წლის მანძილზე, ანუ ბოლო ასი თაობის არსებობის პერიოდში მოხდა. სოფლის მეურნეობის გაჩენისა და სამრეწველო რევოლუციის მოხდენის შემდეგ ადამიანის არსებობა კომფორტული და უსაფრთხო გახდა. მილიარდებში კი მშობლებიდან შვილებზე ქრომოსომების გადაცემისას გენომში მუტაციების განხორციელების უფრო მეტი ალბათობა ჩნდება. ამის შედეგად, გენთა იშვიათი ვარიანტები სულ უფრო მეტი სიხშირით გვხვდება. ამასთან, მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ ახლო მომავალში შესაძლოა მუტაციების ახალი სახეობების გაჩენა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ძნელად საპროგნოზო ცვლილებებს გამოიწვევენ. ზოგიერთმა მეცნიერმა „მუტანტების“ თემაზე ფანტაზიაც კი დაიწყო. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა დარენ კერსენმა, კერძოდ, განაცხადა, რომ დედამიწის მოსახლეობაში ცოტა ხანში ფანტასტიკური „X-ადამიანები“ გაჩნდებიან: ისინი არა საიდუმლო ლაბორატორიებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად წარმოიშვებიან, არამედ ბუნებრივად გაჩნდებიან.

**თამარ გოგიაშვილი**

ზოგჯერაც ბერიას წინააღმდეგ ბრალდებები პლენუმზე უბრალოდ აბსურდული ჩანდა. მაგალითად, ხრუშჩოვი მიერეკებოდა:

„ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ რამდენიმე წელია, რაც ამხანაგ მალენკოვს დაევალა სოფლის მეურნეობის მეთვალყურეობა. ბერია გარეგნულად თავს გვაჩვენებს ამხანაგ მალენკოვის განუყრელ, მტკიცე მეგობრად, ამ დროს კი ასამარებს სოფლის მეურნეობას, სრულ უხარისხობამდე დაჰყავს ის. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება: რძე არ არის, ხორცი ცოტაა. გამოცხადდა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა, ფქვილი კი არ იყიდება. აბა, რა კომუნიზმია ცხელ-ცხელი კვერების უქონლად, უხეშად თუ ვიტყვით...“

პლენუმზე ლავრენტი პავლოვიჩს აუმხედრდა შელახული ამბიციებიცა და უნიჭობაც. ზოგჯერ ლამის კომიკურად გამოიყურებოდა, ვთქვათ, უფერული „ძველი ბოლშევიკის“ ანდრეევის სიტყვა.

თავიდანვე განაცხადა რა, რომ ბერია „უჩვეულო ტიპის“ მტერია, „ძველი პროვოკატორია, ძველი ავანტიურისტია“, ანდრეევი მისდგა და მისდგა:

„ჩვენ ყველამ, ძველმა ცეკოელებმა და ახლებმაც, ვიცით, თუ რა თბილი მეგობრობა ჰქონდათ ამხანაგ სტალინსა და ამხანაგ მოლოტოვს... მაგრამ აი, გამოჩნდა მოსკოვში ბერია და ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა... ამხანაგი მოლოტოვი შეიქნა სამიზნე ამხანაგი სტალინის მხრიდან დაუმსახურებელი თავდასხმებისა...“

„ყველამ იცის, რაც არის ამხანაგი ვოროშილოვი, როგორია მისი ხვედრითი წონა ჩვენს პარტიაში და ყველამ იცის ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ ვოროშილოვის მჭიდრო მეგობრობის შესახებ. ბერიას გამოჩენასთან ერთად მდგომარეობა სრულიად იცვლება, ამხანაგი ვოროშილოვი გადახაზულია, ფაქტობრივად ერთი დრო უმუშევარია. ეს ბერიას ხელმა ქნა...“

არადა, „ლპ“ მოსკოვში „გამოჩნდა“ 1938 წლის აგვისტოში. მოლოტოვი 1931 წლიდან 1941 წლამდე იყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსი, ერთი მხრივ და შრომისა და თავდაცვის საბჭოსი, მეორე მხრივ, თავმჯდომარე. მხოლოდ 1941 წლის მაისში, უმნიშვნელოვანესი ამბების კარიბჭესთან, სტალინმა თავს იდო სახკომსაბჭო, თუმცა მოლოტოვი იქ მეორე პირად დარჩა. 1939 წლის მაისში ის ინიშნება საგარეო საქმეთა სახკომის უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე. 1940 წლის ნოემბერში ბელადი მას ანდობს ჰიტლერსა და რიბენტროპთან მოლაპარაკებებს ბერლინში. ომის დაწყებისთანავე მოლოტოვი ინიშნება სტალინის მოადგილედ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში.

ესაა „თავდასხმები“?

ვოროშილოვს რაც შეეხება: 1940 წლის მაისამდე სსრ კავშირის თავდაცვის სახკომია და ხსნიან არა ბერიას ცილისწამებათა გამო, არამედ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ომის (1939-1940 წ.წ.) შედეგების მიხედვით, თუმცა ამის შემდეგ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ინიშნება. ომის დაწყებისას ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების მთავარსარდალია, მოგვიანებით მეორე-მესამე როლებზეა გადასული არა „ლპ“-ს ხრიკების გამო, არამედ „სამსახურებრივი შეუსაბამობის“ მიზეზით.

ესაა „ბერიას ხელი“? ესაა სიმართლე? თუმცა სიმართლეს რას დაგიდევდათ „ძველი ცეკოელი“ ანდრეევი, თუ ცკ-ის პრეზიდიუმის მოქმედ წევრთა მოთაფვლა იყო საჭირო?

კაცმა რომ თქვას, დღემდე მასების შეგნებაში სტენიან არა იმდენად „ჯალათი“ ბერიას სახეს, რამდენადაც „სექსუალური მანიაკისა“.

პროკურორმა სუხომლინოვმა ამ თემას თავის წიგნში მთელი თავი დაუთმო „ბერიას სქესობრივი დანაშაულებები“. ისე, მესამე სიტყვა მას ბრჭყალებში უნდა ჩაესვა, იმიტომ, რომ წიგნის ავტორი თვითონვე დოკუმენტურად, სამართლებრივი ანალიზით ამტკიცებს, რომ დანაშაულებები არც ყოფილა.

„ქალები ხომ იყვნენ?“ – იკითხავს მკითხველი; ჰოდა აი, არც ქალები ყოფილან.

იგივე სუხომლინოვი გვაცნობებს, რომ იურისტი ანტონოვ-ოვსეენკო წერს ორასზე მეტი ქალის სიაზე, რაც სასამართლოს წარუდგინეს და ირონიულად დასძენს, ზოგნი ამ რიცხვს შვიდასამდე (!) სწელავენო. ამასთან, ფაქტობრივად, სუხომლინოვის მოწმობით, სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებობს მხოლოდ ბერიას პირადი მცველის, ვინმე სარქისოვის შედგენილი 39-ქალიანი სია; და უკვე ეს გარემოება, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენადაა ნამდვილი „სარქისოვის სია“, საშუალებას გვაძლევს, რომ უკუვაგდოთ ყველა ცილისმწამებლური მონაჩმახი ათეულობით საბრალო მოსწავლე გოგონაზე, რომლებზეც თითქოს მოსკოვის ქუჩებში ნადირობდა ლავრენტი პავლოვიჩი „შავი ყორანიდან“ ჭვრეტით. ერთი საქმეა საყვარლების აღრიცხვის წარმოება, მეორე – ძალადობის მსხვერპლთა აღრიცხვისა. მსგავს სიებს არავინ არ ადგენს, ზედაც კიდევ პირადი მცველის მეშვეობით!

სარქისოვის სიას კი არ შეუძლია 39 ქალზე მეტის მოთვლა, თანაც იმ ქალთა, ვინც იცოდა, თუ რისთვის იყვნენ საჭირონი, ესე იგი ამ შემთხვევებში (თუნდაც ეს შემთხვევები ყოფილიყო) გაუპატიურებაზე ლაპარაკი არ გვიწევს. ოფიციალურ საბრალდებო დასკვნაში ბერიას დანაშაულად უთვლიან სულ ერთ გაუპატიურებას ვიღაცა ლიალია დროზდოვასი, ამასთან სუხომლინოვი თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ ეს ბრალდებაც თეთრი ძაფებითაა ნაკერი...

ის პირადი მცველი სარქისოვი მერე დააპატიმრეს და დაკითხვაზე თითქოს უჩვენებდა – ჩემს შეფს ასობით ქალი ჰყავდა ყოველ შესახვევში, ყოველ ქუჩაზეო.

უნდა ვიცოდეთ, რომ არ ყოფილან ლავრენტი პავლოვიჩის „სექსუალურ მსხვერპლთა“ არც ასეულები, არც ათეულებიც კი; როცა უმაღლეს, თითქმის სახელმწიფოებრივ დონეზე აძლევენ თავს ნებას მსგავს მანერაში კაცის დადანაშაულებისა („ყოველ შესახვევში, ყოველ ქუჩაზეო“, ამას იმეორებდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რუდენკოც), მეც მივცემ თავს ნებას, რომ განვაცხადო: „არც ერთ შესახვევში და არც ერთ ქუჩაზე!“ ხოლო როცა ახეთქებენ, „ასობითო“, მე შევედავები: „ერთეულებიც არ ყოფილა!“

აქვე სათქმელად, როცა რუდენკო იმოწმებდა სარქისოვს, ყოფილი მცველი უკვე ფსიქიატრიულ კლინიკაში იმყოფებოდა. ეტყობა, იმისმა ემოციურმა კავ-



## სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

### რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




კასიურმა ნატურამ ვერ შეძლო თავისი შეფის მორალური გაყიდვის ფსიქოლოგიურ ტვირთთან გამკლავება...

„იდეურად გამოწრთობილ პარტიელთაგან“ და „დემოკრატთაგან“ განსხვავებით მე ნაკლებად მაინტერესებს „სქესობრივი თემა“ ლავრენტი პავლოვიჩის ცხოვრებაში; და ჩემს წიგნში მის დასახურად მოვიყვან ამონარიდებს თ.ქორიძის ძალიან საინტერესო სტატიიდან, რომელიც გამოქვეყნდა თბილისურ გაზეთში „7 დღე“ (№ 1-2, 28 ივლისი, 1990 წ.) და გადაიბეჭდა კიევურ გაზეთში „24 საათი“ (1990 წლის სექტემბერი, თარგმანი პ.ზგონიკოვისაძ.

სტატიას ეწოდება „არასოდეს არ ვერეოდი ლავრენტის საქმეებში“ და წარმოადგენს საუბრის ჩანაწერს 86 წლის ნინო თეიმურაზოვნა გეგეჭკორი-ბერიასთან. იგი მაშინ ცხოვრობდა „დნეპრისპირა დიდი ქალაქის მიდამოებში, მწვანე ქუჩაზე, ჩვეულებრივ „ხრუშჩოვკაში“...“

მე თუ მკითხავთ, ეს არის დიდი ძალისა და დიდი დამაჯერებლობის ისტორიული დოკუმენტი. ნინო ბერიამ 86 წლისამაც შეინარჩუნა, როგორც წერს თ.ქორიძე, ძველი სილამაზის კვალი, მეხსიერებისა და აზრთა სიცხადე. ის, რაც მან მოგვითხრო, მხოლოდ ნაწილობრივ ეხება მითურ „ბერიას ქალების“ თემას, მაგრამ ქვემოთ მე ამოვწერ ვრცელ ციტატას ამ პუბლიკაციიდან – მასალა ღირს ამად!

„ერთი წელი ბაქოში ვცხოვრობდით, მერე თბილისში დავბრუნდით... ღარიბულად ვცხოვრობდით. დრო იყო ასეთი – ადამიანურად ცხოვრება სირცხვილად ითვლებოდა, სიმდიდრეს ებრძოდნენ.

1931 წელს ლავრენტი დანიშნეს საქართველოს ცკ-ის პირველ მდივნად. მანამდე ამ პოსტზე მუშაობდა ქართველიშვილი, რომელმაც ერთ თანამდებობის პირს ცოლი წაართვა. ეგეც კია, მერე, როცა ქართველიშვილი მოხსნეს, ქალი სხვასთან წავიდა.

ლავრენტი გამუდმებით სამუშაოთი იყო დაკავებული. ძალიან ბევრს მუშაობდა. ახლა ადვილია კრიტიკა, მაგრამ მაშინ მართლაც ბრძოლა მიდიოდა. საბჭოთა ხელისუფლებას უნდა გაემარჯვა. გახსოვთ, რას წერდა სტალინი სოციალიზმის მტრებზე? ეს მტრები მართლაც არსებობდნენ... ბელადს სურდა დიდი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა და მან ეს გააკეთა...“

აქ ინტონაცია ერთობ გულითადია, სარწმუნო – ამას ხომ ბევრის განმცდელი და ბრძენი ადამიანი ლაპარაკობს; თავის თავზეც და თავის დროზეც:

„მოსკოვში 1938 წლის ბოლოს გადავედით. იმ დროისთვის 37-ის რეპრესიები უკვე დამთავრდა. ჩემს ქმარზე რომ წერენ, ეს რატომღაც ავიწყდებათ. ასე უფრო ადვილია: არსებობს კაცი, რომელსაც ყველაფერი შეიძლება დააბრალო... მაგრამ მე მჯერა, ოდესმე დაიწერება ობიექტური ისტორია და მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მე ვერ მოვესწრები ამ ხანას, თქვენ კი აუცილებლად იცოცხლებთ იქამდე, ახალგაზრდა ხართ.

არასდროს არ ვერეოდი ჩემი ქმრის სამსახურებრივ საქმეებში, ამიტომაც ამაზე არაფრის მოყოლა არ შემიძლია. ის, რომ ლავრენტის სახელმწიფო ღალატი დააბრალეს, რასაკვირველია, დემაგოგიაა – რაღაცაში ხომ უნდა დაედანაშაულებინათ. 1953 წელს გადატრიალება მოხდა. შიშობდნენ, ვაითუ სტალინის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი ბერიამ დაიკავოსო. ჩემს ქმარს ვიცნობდი: პრაქტიკული ჭკუის კაცი იყო და ესმოდა, რომ ბელადის გარდაცვალების მერე ქართველისთვის სახელმწიფოს მეთაურად გახდომა შეუძლებელი რამაა. ალბათ, ამიტომაც წავიდა მისთვის საჭირო კაცთან საერთო ენის გამონახვაზე – ისეთთან, როგორიც მალენკოვი იყო...“

მალენკოვი, რა თქმა უნდა, ბერიას სჭირდებოდა არა პირადი ინტერესებისთვის, არამედ იმიტომ, რომ ეიმედებოდა მართლაც ეფექტიანი ხელმძღვანელი ტანდემის „ბერია-მალენკოვის“ შექმნა რუსეთის ინტერესებში; ოღონდ ვაგლახ, რომ მალენკოვი ისევე ფართოდ ვერ აზროვნებდა, როგორც მისი საქმიანი კოლეგა. ნამდვილი, ანუ საქმიანი და გაბედული ბოლშევიკი იმ ორთაგან გახლდათ მხოლოდ „ლპ“ და საგულისხმოა, თუ რა ზუსტად შეაფასა ბერიას ქვრივმა 1953 წლის მოვლენები 1990-ში.

„1953 წლის ივნისში მე და ჩემი შვილი სერგო მოულოდნელად დაგვაპატიმრეს და სხვადასხვა სატუსაღოში ჩაგვსვეს. ჯერ გვეგონა, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და ძალაუფლება ანტიკომუნისტურმა ძალებმა ჩაიგდეს.

ბუტირკაში ვიჯექი. ყოველდღე მოდიოდა გამომძიებელი და მოითხოვდა ქმრის საწინააღმდეგო ჩვენებების მიცემას. მეუბნებოდა, რომ „ხალხი აღშფოთებულია ლავრენტის დანაშაულებებით“. მე ვუპასუხე, რომ არასოდეს ცნობებს არ მივაწვდი – არც ცუდსა და არც კარგს...“

„ქალებს“ რაც შეეხება, ამაზე ნინო ბერიამ ასე თქვა:

„ერთ დღესაც ზედამხედველი მიამბობს, რომ 760 ქალმა აღიარა თავი ბერიას საყვარლად (სუხომლინოვის წყალობით ვიცით, რომ ზედამხედველი ცრუობდა – **ს.კ.**). საკვირველი ამბავია: ლავრენტი დღე და ღამე მუშაობით იყო დაკავებული, როდის უნდა მოეცალა ამ ქალთა მთელ ლეგიონთან საჟიმაოდ?! სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად იყო. ომის პერიოდში და შემდგომაც ის მეთაურობდა დაზვერვასა და კონტრდაზვერვას. ეს ქალები გახდნენ მისი თანამშრომლები, ინფორმატორები და შეფთან ჰქონდათ უშუალო კონტაქტი. ლავრენტის ფენომენური მეხსიერება ჰქონდა და ყველაფერს, რაც ამ ქალებთან სამსახურებრივ კავშირებს ეხებოდა, გონებაში ინახავდა. მერე კი, როცა მათ ჰკითხეს პატრონთან დამოკიდებულებათა შესახებ, ყველამ განაცხადა, რომ მისი საყვარელი იყო. აბა რა უნდა ექნათ? ელიარებინათ ბრალდება აგენტურულ-ძირგამომთხრელ საქმიანობაში?“

ეს ახსნა, სხვათა შორის, სავსებით სწორია! თანაც ისიც გასაგებია, თუ რატომ არ არის საგამოძიებო საქმეში მასალები ამ „ლეგიონზე“. გენპროკურორ რუდენკოსა და კომპანიისთვის ხელსაყრელი იყო როგორღაც „გაეშუქებინათ“ ასეულობით ქალთან „ლპ“-ის კონტაქტის თვით ფაქტი და „გარყვნილებად“ ამ ფაქტის მოწოდება. აი, შსს-ს ოპერატიული თანამშრომელი ქალებისა და ნდობით აღჭურვილ პირთა სახელებისა და საანკეტო მონაცემების ფიქსირება კი სულაც არ იყო საჭირო.

არა, ლავრენტი ბერია მექალთანე არ ყოფილა ბუნებრივი წყობითაც, განსაკუთრებული სამსახურებრივი მდგომარეობის ძალითაც, უკიდურესი დატვირთულობითაც. სხვათა შორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლიდია სმირნოვა ხანდაზმულობაში ღიმილით უარყოფთა ჭორებს იმის თაობაზე, რომ ოდესღაც „ლპ“-ის საყვარელი იყო. ამას, მართალია, სხვა მსახიობი მიიწერდა – ტატიანა ოკუნევსკაია, რაც გულუბრყვილოდ დაიჯერა სუხომლინოვმაც. არადა, მის წიგნშივე მოყვანილი ოკუნევსკაიას „მოგონებების“ ამონარიდის გაცნობა გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს მხოლოდ „მაღალი წრის“ ოცნებებთან, ჰიპერტროფირებულად ავადმყოფი ფანტაზიის მქონე ეგზალტირებული მანდილოსნისა...

თარგმნა
**თამაზ ებანოიძემ**

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-153

◉ კალათბურთი

# ნეგატივის პოზიტივი



„ევრო — 2013“-ის შესარჩევი ტურნირი დღეს იწყება, თუმცა საქართველოს ეროვნული ნაკრები ისვენებს. იგი სასტარტო მატჩს თბილისის სპორტის სასახლეში 18 აგვისტოს რუმინელებთან გამართავს.

მომავალი რაუნდის წინ „ჯვაროსნებმა“ გენერალური რეპეტიცია ლაიფციგში გერმანიასთან 57:68 (17:17, 14:18, 13:17, 13:16) წააგეს, მაგრამ ეს შეხვედრა დაცვაში კარგი თამაშის გამო მაინც აქტივში შეგვიძლია ჩავიწეროთ.

აღსანიშნავია, რომ იგორ კოკოშკოვმა, ბოლოსდაბოლოს, გააკეთა არჩევანი და გამთამაშებლის პოზიციაზე უპირატესობა ამერიკელ ჯეიკობ პულენს მიანიჭა, რომელმაც თანამემამულე კორი ფიშერთან კონკურენციაში გამარჯვება 16 ქულით აღნიშნა.

და კიდევ: მეტოქეებს ლიდერები — ნბა-ს სუპერვარსკვლავი დირკ ნოვიცკი და ჩვენი გუნდის კაპიტანი ზაზა ფაჩულია აკლდათ, რომელმაც ერთ-ერთ ვარჯიშზე კუნთი დაიჭიმა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საშიში არაფერი ყოფილა — უბრალოდ, საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ტრავმის გართულების გამოსარიცხად აღარ გარისკა და ზაზა დაასვენა.

**საქართველო:** პულენი — 16, შენგელია — 15, მარკოიშვილი — 12, შერმადინი — 6, მეტრეველი — 4, სანიკიძე — 2, ფაცაცია — 2 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ცინცაძემ, ლეჟავამ, მათიაშვილმა, დვალიშვილმა და ბოისამ.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, მათგან იაგლამ 16 ქულას მოუყარა თავი, ხოლო ბენცინგმა — 10-ს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ჭადრაკი

# გურამიშვილი მესამეა



**ჰოლანდიაში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისელი დიდოსტატი სოფიკო გურამიშვილიც მონაწილეობდა. ჩვენებურმა 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა და ქალებში მე-3 ადგილი დაიკავა.** ამდენივე ქულით, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ინდოეთის ქალთა ნაკრების წევრმა ეიშა კარავადემ დაიკავა. მისი თანაგუნდელი ჰარიკა დრონავალი 7 ქულით პირველი იყო. რაც შეეხება ტურნირის მთავარ პრიზს, 7,5-7,5 ქულით ის ჰოლანდიელმა დიმიტრი რეინდერმანმა და ისრაელის წარმომადგენელმა ჟილ პოპილსკიმ გაინაწილეს.

# არაბიძის პირველი მარცხი



**საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გრძელდება 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა. 10 ტურის შემდეგ ქართველი საერთაშორისო ოსტატი მერი არაბიძე 7,5 ქულით ოცწლიანებში მსოფლიოს ჩემპიონ დეიზი კორისთან (პერუ) და ჩინელ გუო ქისთან ერთად პირველ-მესამე ადგილებს ინაწილებდა.** ჩვენებურისთვის მე-11 ტური უიღბლო აღმოჩნდა — თეთრი ფიგურებით კორისთან დამარცხდა, გეო ქი კი რუმინეთის ნაკრების წევრ ირინა ბულმაგას დაუზავდა. ბელარუსმა ნასტასია ზიაზიულკინამ ჩინელ ვან იუეს მოუგო, ხოლო რუსმა ანასტასია ბოდნარუკმა მონიკა ჩილსი სიჰიტეს (ინდონეზია) აჯობა. ამდენად, 11 ტურის შემდეგ 8,5 ქულით კორი დაწინაურდა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით გუო ქი, ბოდნარუკი და ზიაზიულკინა ჩამორჩებიან. ვაჟებში 9-9 ქულით პირველ-მეორე ადგილებს რიჩარდ საპორტი (უნგრეთი) და ალექსანდრ იპატოვი (თურქეთი) ინაწილებენ.

შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური დარჩა.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ფეხბურთი

# ცხელი შემოდგომის წინ

**მოგეხსენებათ, „მუნდიალ — 2014“-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ეროვნული ნაკრები ესპანეთთან, საფრანგეთთან, ბელარუსთან და ფინეთთან ერთად ითამაშებს.**

ბუნებრივია, ასეთ კამპანიაში ღირსეულად გამოსვლა პრესტიჟის საქმეა. ვერ გეტყვით, რამდენად შეძლებენ ამას „ჯვაროსნები“, თუმცა იმას კი მოვთხოვთ ჩვენს თანამემამულეებს, რომ მათთვის ამთავითვე მიკუთვნებული აუტსაიდერის როლი სხვას შეასრულებინონ.

მოკლედ, რამდენიმე კვირაც და თემური და მისი რაზმი უთანასწორო (რასაკვირველია, ყველასთან — არა) ბრძოლებში ჩაებმება (მათგან უახლოესებს განახლებული ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს: 7 სექტემბერს — ბელარუსთან, 11 სექტემბერს — ესპანეთთან), მანამდე კი გენერალურ რეპეტიციას ლუქსემბურგში გავმართავთ.



**დღევანდელი ამხანაგური მატჩისთვის ქეცბაიამ არჩევანი შემდეგ კონტინგენტზე შეაჩერა:**

**მეკარეები** — ლორია („დინამო“), რევიშვილი („კრასნოდარი“), კვასხვაძე („ზესტაფონი“).

**მცველები** — კაშია („ვიტესი“), ხიზანიშვილი („ქაისერისფორი“), ამისულაშვილი („კრასნოდარი“), ფოფხაძე („ბაკი“), გრიგალავა („ვოლგა“), ლობჟანიძე („კრივბასი“), ხუბუტია („სამსუნსფორი“).

**ნახევარმცველები** — დაუშვილი („კარპატი“), კანკავა („კრივბასი“), ანანიძე („სპარტაკი“), თარგამაძე („ილიჩევეცი“), ოქრიაშვილი („ილიჩევეცი“), კობახიძე (კიევის „არსენალი“), გურული („დილა“).

**თავდამსხმელები** — მჭედლიძე („ემპოლი“), გელაშვილი („ბოხუმი“), ვაწაძე („დილა“), სირბილაძე („ტურკუ“).

**გიორგი შოთაძე**



# „ანორთოსისი“ დასაჯეს

**შეგახსენებთ, რომ ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის საპასუხო პაექრობისას, როცა გორის „დილა“ სტუმრად კვიპროსის „ანორთოსისს“ 3:0-ს უგებდა, ადგილობრივი გულშემატკივრები მოედანზე გადმოხტნენ, ტრიბუნებზე ცეცხლი დაანთეს და ტელეაპარატურა დაამსხვრიეს. მასპინძელთა ასეთი გამოხდომის გამო მატჩი შეწყდა.** ანგარიში ძალაში დარჩა, თანაც უეფას სადისციპლინო კომიტეტმა „ანორთოსისი“ 50 ათასი ევროთი დააჯარიმა. ამასთანავე, კვიპროსელები უეფას ტურნირების მომდევნო 3 საშინაო ორთაბრძოლას უმაყურებლოდ გამართავენ. ფლეი-ოფში „დილა“ იასპარეზებს.

◉ ჩოგბურთი

# წააგო, მაგრამ ძირითად ბადეში მაინც მოხვდა

**შარშან ცინცინატის ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 2.168,400 დოლარი) მარია შარაპოვამ (რუსეთი) მოიგო — ფინალში ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) დაამარცხა.** ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ავადმყოფობის გამო ტიტულს ვერ დაიცავს. არადა, ამ შეჯიბრებას მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი), სერენა და ვენუს უილიამსები (აშშ), პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი), კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) და სხვები ამერიკის ღია პირველობისთვის მოსათელად გამოიყენებენ.



ცინცინატის ტურნირში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება 22 წლის ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი. პირველ ტურში მან ნიკოლ გიბსი დაამარცხა — 6:2, 7:6, მეორეში კი თავად დანებდა იაროსლავა შვედოვას (ყაზახეთი) — 5:7, 2:6. მარცხის მიუხედავად, ტატიშვილი იღბლიანი წაგებულის სტატუსით მაინც დაუშვეს ძირითად ბადეში, სადაც ჩეხ კლარა ზაკოპალოვას დაუპირისპირდება. წყვილებში ჩვენებური რუს ეკატერინა მაკაროვასთან ერთად ბეთანი მატეკ-სანდსისა (აშშ) და სანია მირზას (ინდოეთი) დუეტს გაუწევს მეტოქეობას.

**ლაშა დიდია**

◉ ჯომარდობა

# გუდაურის თასზე

**ექსტრემალური დასვენების მოყვარულთ წლეულს პირველად სათავგადასავლო შეჯიბრება ელით გუდაურის თასზე, რომელშიც სხვადასხვა ორგანიზაციისა და პროფესიის წარმომადგენლები იასპარეზებენ.**

თითოეული გუნდი ექვს-ექვსი (პლუს ერთი სათადარიგო) წევრით დაკომპლექტდება. ტურნირის მონაწილენი სტარტს გუდაურში მარკო პოლოს ტერიტორიაზე აიღებენ, პაექრობას კი ნავებით სოფელ გვრიტოსთან დაასრულებენ.

ფინალური სათავგადასავლო რბოლა სექტემბერში გაიმართება.



◉ ლონდონი — 2012

# ბელარუსს ოქრო ჩამოართვეს

**იმის მიუხედავად, რომ გასულ კვირას ლონდონში საზეიმოდ დაიხურა ოლიმპიური თამაშები, მისი ციებ-ცხელება ჯერ არ განელებულა. უფრო მეტიც — ორი დღის წინათ ყველაზე ხმაურიანი დოპინგსკანდალი აგორდა:** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სადოპინგო კომისიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ბელარუს მძლეოსანს, ბირთვის კვრაში ოლიმპიურ ჩემპიონ ნადეჟდა ოსტაპჩუკს სინჯში აკრძალული პრეპარატის — მეთანოლინის კვალი აღმოუჩინეს, რის გამოც სპორტსმენი დისკვალიფიცირებულია და ოქროს მედალიც ჩამოართვეს. ამ ფაქტის შემდეგ ჩემპიონობა ავტომატურად ვერცხლისმედალოსან ახალზელანდიელს — ვალერი ადამსს ერგო. მეორე ადგილზე რუსმა ევგენია კოლოდკომ გადაინაცვლა, ხოლო მესამე ადგილს ჩინელი ლისიაო გონგი დაიკავებს.



◎ არდავიწყება

# ივანე ქსოვრელი შთამომავლობის გულში



არ შეიძლება ცრემლნარევი სიამაყით არ აგევსოს გული, როცა ისმენ შესანიშნავი ქართული ოჯახის გმირულ ისტორიას, დარწმუნდები, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია.

1910 წელს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში დაბადებული, ულამაზესი გვარის წარმოსადეგი ვაჟკაცი **ივანე ქსოვრელი** თბილისში დასახლდა. ჰყავდა მეუღლე და ორი ულამაზესი ქალიშვილი.

იყო ნაძალადევის რაიონის სახანძრო რაზმის კაპიტანი, კავსაძის გუნდის მომღერალი, ერთგული მეგობარი.

1962 წლის 15 აგვისტოს თბილისში ავბედითი დილა გათენდა. ერთ-ერთი საერთო საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. დაკეტილ ბინაში პატარა 8 თვის ბავშვი იმყოფებოდა, შეუძლებელი იყო იქ შეღწევა. ბატონი ვანო დაუფიქრებლად შეიჭრა ალმოდებულ სახლში, ბავშვი უბეში ჩაისვა, მშობლებს უვნებლად ესროლა ფანჯრიდან, თვითონ კი 52 წლის ასაკში მყოფი გულგახეთქილი გარდაიცვალა.

ამ გმირობისთვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის დადგენილებით კაპიტანი ივანე ქსოვრელი დაჯილდოვდა სიკვდილის შემდეგ მედლით – „ხანძრის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის“. დაუვიწყარია მისი გმირული საქციელი.

დღეს მის სახელს უკვდავყოფენ მისი უფროსი ქალიშვილი ულამაზესი ნათელა, პროფესიით ტექნოლოგი, პოეტური სულის, სპორტის დამსახურებული მწვრთნელის აწ გარდაცვლილი ომარ გუგუშვილის მეუღლე. მათ ჰყავთ ერთადერთი უმშვენიერესი მაიკო, მუსიკისმცოდნე, თეატრალური უნივერსიტეტის ორი სტუდენტი ვაჟის დედა.

ბატონი ვანოს უმცროსი ქალიშვილი, მერი ქსოვრელი, მხატვართა კავშირის წევრი, 3 ქალიშვილის დედაა. იგი დღემდე ეწევა ნაყოფიერ მუშაობას, დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყანაში ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრულ-ეროვნული სახის ჩამოყალიბება-განვითარებაში, იგი ჩითული ქსოვილის უბადლო ოსტატია. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ გამოფენაში – საქართველოში, მოსკოვში, გერმანიაში, იტალიაში, თურქეთში. მისი ნამუშევრები – კერამიკა, ხელნაქსოვი ხალიჩები, მხატვრული ქსოვილები, მოდელები დაცულია მრავალ მუზეუმსა და კერძო კოლექციაში.

მისი უფროსი ქალიშვილი ლია ანთიძე, მუსიკის პედაგოგი, შესანიშნავი ქმარ-შვილის პატრონია. მომდევნო შვილი ლალი, ექიმი, ცხოვრობს და მოღვაწეობს უცხოეთში.

ქალბატონი მერის მესამე ქალიშვილი დალი (ანაძ ანთიძე-ციმერმანი, ხატმწერი ქალია, რომელმაც 18 წლისამ მოხატა მიტოვებული „ნახშირგორის ღვთისმშობლის ეკლესია“, რომლის ხილვისას საოცარი ესთეტიკური სიამოვნება დაგეუფლებათ. იგი ცხოვრობს თავისი ოჯახით საფრანგეთში და, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მუსიკალური განათლების არმქონე მოულოდნელად საოპერო მუსიკის მომღერლად მოგვევლინა. არის მრავალ კონკურსში გამარჯვებული.

დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო ამ შესანიშნავი გვარის წარსულსა და საამაყო მომავალზე.

შეუძლებელია ბატონი ივანე ქსოვრელის შთამომავალთა ღვაწლის დავიწყება ქვეყნისა და ერის წინაშე.

დღესაც დაუსრულებლად მღერიან ქსოვრელები და ალამაზებენ საქართველოს სახელს.

**ქეთევან კობიაშვილი**

შვილები ნანი, მედეა, თემურ გობეჯიშვილები, რძალი ეთერ რეხვიაშვილი, შვილიშვილები თამარ ბერიშვილი, ნინო ჩიმაკაძე, თამარ, კოტე გობეჯიშვილები, სიძეები პაატა მეტრეველი, გურამ დაბრუნდაშვილი, დები შურა, ნინო მიქაძეები, დისწულები შორენა, ავთო, თამაზ, ქეთევან ოჯახებით, ძმისწული ლალი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ომისა და შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი

**თამარ პორფირეს ასული მიქაძე**



საზოგადოება „რუსთაველების“ სახელით საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე ანზორ შონია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, დიდებული პიროვნება, საპატიო რუსთაველი, რუსთავის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი მესაძირკვლე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

**ვალერიან (ვალიკო) ვადაჭკორია**

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და რუსთაველებს. პანაშვიდი 14, 15, VIII 17 სთ. გამოსვენება 16 VIII, 14 სთ. ქ. რუსთავი I მაისის ქ. №4, დაკრძალვა მუხათგვერდის სასაფლაოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მურთაზ ჭაბუკიანი ოჯახითურთ გულისტკივილით იუწყება უახლოესი მეგობრის

**ბადრი ალხაზაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

◎ მეცნიერება

# ტვინის გამორეცხვა

## მექანიზმი, რომელიც სინდისს შეიცავს

**ამ ცოტა ხნის წინათ ცნობილი ნეიროფიზიოლოგის ბეხტერევას შვილმა, ადამიანის ტვინის ინსტიტუტის დირექტორმა სვიატოსლავ მედვედევმა განაცხადა, რომ ტვინში აღმოაჩინა მექანიზმი, რომელიც აფასებს ჩვენს მოქმედებას მორალის თვალსაზრისით. თუმცა ზნეობრიობის სრულყოფის იდეას ტვინზე ოპერატიული ზემოქმედების გზით მავნე უწოდა.**

### უსინდისოები არ არიან?

– ეს სახიფათო თამაშებია, – თქვა მან. – მათ შეიძლება ძალიან შორს წაგვიყვანოს. თანაც ტვინში „ზნეობრიობის მართვის პულტიც“ ჯერჯერობით არ არის მონახული.

**– მაგრამ თქვენ ხომ ნახეთ იქ სინდისი?**

– ჩვენ აღმოვაჩინეთ მექანიზმი, რომელიც, ასე ვთქვათ, ატარებს პასუხისმგებლობას სინდისის წამებისთვის – აფასებს ყველა ჩვენს მოქმედებას მორალის თვალსაზრისით. დედაჩემმა შეძლო აღმოეჩინა ტვინში „შეცდომების დეტექტორი“ – იმის მატრიცა, თუ „როგორ არის საჭირო“ და „როგორ არ არის საჭირო“: მაგალითად, გავიწყდებათ გამორთოთ შუქი ან გაზი, და უმალვე ამის შესახებ გატყობინებენ. ასევეა სინდისთან დაკავშირებითაც: ტვინი თვალყურს ადევნებს, შეესაბამება თუ არა ადამიანის ყველა მოქმედება ჩვეულებრივ ნორმებს და, როდესაც მათ გვერდს ვუვლით, გვაძლევს ნიშანს – ჩნდება შეგრძნება, თითქოს რაღაც ისე არ არის. თუ თქვენ შემთხვევით შეცდით, რამდენიმე მილიწამის შემდეგ ჩნდება ტვინის გარკვეული მონაკვეთების ცვლილება. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ იმ მომენტში, როდესაც ადამიანი აპირებს სიცრუის თქმას, და უმალვე მას შემდეგ, რაც მან იგი წარმოთქვა, ტვინი იძლევა სიგნალს შეცდომის შესახებ, რომელიც ფიქსირდება ელექტროენცეფალოგრამით.

მაგრამ ეს ხდება, როდესაც ჩვენ შეგნებულად ვაკეთებთ არასწორ რამეს, ვცდებით არა შემთხვევით, არამედ განზრახ, მაგალითად, ვიტყუებით? თურმე, დეტექტორი გვაცნობებს: იცოდე, რომ ეს სიცრუეა, რათა ადამიანმა თავად არ დაიჯეროს საკუთარი სიცრუე. მომწონს ფრაზა: „სინდისი ხელს არ გვიშლის, ჩავიდინოთ ბოროტება, იგი ხელს გვიშლის დავტკბეთ იმით“. თუმცა, სიცრუე ან აზრის დაფარვა – ცხოვრების ბუნებრივი ნაწილია. თუ დილიდანვე გადაწყვეტთ ილაპარაკოთ მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა, მაშინ, ალბათ, უკვე საღამოსთვის დაკარგავთ სამუშაოს, „მეორე ნახევარი“ კი სახლიდან გამოგაგდებთ...

**– რატომ არის, რომ ზოგი ემორჩილება სინდისის კარნახს, ზოგი არა?**

– უსინდისო ადამიანები არ არიან, არის მხოლოდ სხვადასხვა წარმოდგენა ბოროტებასა და სიკეთეზე. ის, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, ყოველ ადამიანს ესმის თავისებურად. მაგალითად, ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანის შეჭმა – ეს საშინელებაა, პირველყოფილი ტომებისთვის კანიბალიზმი – ნორმაა. ჩვენთვის ბავშვის მოკვლა დანაშაულია, მთიელისთვის კი, ვისაც სისხლის აღება სურს, ეს ღირსეული საქციელია. თითქოსდა, სრულიად ამორალურ ადამიანებშიც კი, სინდისი, როგორც ფიზიოლოგიური მოვლენა, არსებობს...

**– სერიულ მკვლელებში ან საკონცენტრაციო ბანაკების თანამშრომლებშიც კი?**

– მანიაკი მკვლელები, ისევე როგორც ნარკომანები – ავადმყოფი ხალხია. ისინი, შეიძლება, კლავენ და ტირიან, მაგრამ არ შეუძლიათ გააკონტროლონ თავიანთ თავში მხეცი. ესესელები კი, ვინც ანადგურებდნენ ტყვეებს, დამუშავებული იყვნენ გებელსის პროპაგანდით. მათ ჰქონდათ თავიანთი, „ესესური“ „სინდისი“, ღირებულებათა სისტემა, რომელიც აძლევდა მათ ნებას, ჩაედინათ ზღვარგადასული სიმკაცრეები, მაგრამ ამ დროს მათ შეეძლოთ ძალიან განეცადათ საკუთარი ძაღლის წამება, ხელმძღვანელობის მითითებათა შეუსრულებლობა ან თუ ისეთ რამეს აკეთებდნენ, რაც ეწინააღმდეგებოდა ოფიცრის ღირსებას.

რატომ იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიეტნამის სინდრომი, სსრ კავშირში კი – „ავღანეთისა“? ამერიკელებსა და საბჭოთა ხალხს არ უხსნიდნენ, თუ რისთვის მიდიოდა ომი, არ გაუკეთებიათ ზნეობრივი მატრიცის შესაბამისი ცვლილება. და საზოგადოებამაც დაიწყო სინდისის წამება. აი ჰიტლერის გერმანიაში კი უმრავლესობას გაუკეთეს ტვინის ისეთი ამორეცხვა, რომ ასეთი რამ არ მომხდარა...

**– თუ სინდისი ფიზიოლოგიური პროცესია, მაშასადამე ის მართულია? მაგალითად, ოპერაციის დახმარებით?**

– მოსამართლეები ვინ არიან? ვინ გამოუტანს ვერდიქტს – ეს ქცევა სამართლიანია, ეს კი არაო? არის კი აქ ტაბუ? დარწმუნებული ვარ, რომ – კი. მე კატეგორიულად ვარ წინააღმდეგი პიროვნების მიზანდასახული შეცვლისა. მით უმეტეს, თუ ვიმოქმედებთ ჯანსაღ ადამიანებზე და არა, ვთქვათ განუკურნებელ ნარკომანებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მორიგი ფიურერი ან პარტიული კომიტეტის მდივანი განსაზღვრავს, თუ კერძოდ როგორი ოპერაცია ჩაუტარონ თქვენს პიროვნებას.. ეს რომ წესად ვაქციოთ და ვაკეთოთ არა სამედიცინო მაჩვენებლების მიხედვით, არამედ, ვთქვათ, მმართველი იდეოლოგების მითითებით, მაშინ ბევრი მსურველი გამოჩნდება ასე „გააუმჯობესოს ადამიანები“.



### ჩხიკ – და ყველაფერი მზადაა...

**– გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ რაიმე აღმოჩენა პრინციპულად შეიძლება განვახორციელოთ, როგორც, მაგალითად, კლონირება, მაშინ, ადრე თუ გვიან, მიუხედავად ნებისმიერი აკრძალვისა, მას დანერგავენ...**

– ეს კანონი მუშაობს. მაგრამ, ვთქვათ, ორგანოების გადანერგვა შეიძლება მხოლოდ მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიაში. ასეთ რამეს მუხლებზე მდგომი ვერ გააკეთებ, ესე იგი „ოპერაციას პიროვნებაზე“ შეიძლება თვალი გაადევნო. შემდეგ კი, რატომ გავართულოთ, თუ ყველაფერი იოლად შეიძლება გავაკეთოთ? უფრო რეალურია ფსიქიკის შეცვლა გაცილებით ნაკლები დანახარჯებით. მაგალითად, ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს გამოირკვა, რომ ალკოჰოლის მიღების გამო ხდება სინდისის შემობრუნება: მართალი და ტყუილი ცვლიან ადგილებს – როდესაც ადამიანი სიმართლეს ლაპარაკობს, დეტექტორი იწყებს ამოქმედებას და, უფრო მეტიც, თქვენს პროვოცირებასაც კი ახდენს არასწორ გადაწყვეტილებებზე...აი, რატომ არ ღირს მივუჯდეთ საჭეს, სულ ცოტაც რომ გვქონდეს დალეული. აი, მარტივი მაგალითი: 1 გრამი არაყი 1 კილოგრამ წონაზე – თითქოსდა არაფერია. მაგრამ შედეგად შეცდომების დეტექტორი, რომელიც მკვირცხლ მძღოლს აძლევს საშუალებას, მანქანის მცირე გადახვევის დროს ავტომატით გაასწოროს საჭე, სპირტის ზემოქმედებით იწყებს აბნეული ბრძანებების მიცემას. სწორი მოქმედებები შესაძლებელია მხოლოდ შეგნებული მართვის დონეზე. „გადავუხვიე, ესე იგი საჭიროა საჭე აქეთ მოვატრიალო და არა იქით“. მაგრამ ამაზე მეტი დრო მიდის, ყოველი ზედმეტი წამი კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. როდესაც „ოპერაციას ვუკეთებთ სინდისს“, ჩვენ თითქოს ვალებთ კარს უცნობლობაში.

**– გამოდის, რომ ნებისმიერი, ვინც „არ არის თანახმა“, შეიძლება გავხადოთ „თანახმად“ ტვინზე ზემოქმედების წყალობით?**

– დიახ, და ძალიან სწრაფად. ახლაც კი შეიძლება ეს „მოწინააღმდეგეები“ დავამშვიდოთ ცნობილი სედატიური საშუალებებით: ავიღოთ ვალიუმი, სედუქსენი და შევურიოთ წყალსადენის ან მინერალურ წყალს მისი გაყიდვის ადგილას. ამგვარი ექსპერიმენტი მოაწყვეს შვედეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში: წყალსადენში გაუშვეს სუსტი დამამშვიდებელი საშუალება და გამოაცხადეს ატომური განგაში. ხალხი კი მოდიოდა და იცინოდა... პრობლემა ისაა, რომ ასეთი რამის შემოწმება იოლია: ხალხი იწყებს არაადეკვატურ ქცევებს. ამას შენიშნავენ, წარმოიქმნება ველური სკანდალი, ამას გარდა „ომონიც“ ხომ დალევს ამ „დამამშვიდებელ“ წყალს. რა მოხდება მერე? აღარ გეყოლებათ აღარც მოპროტესტე, აღარც ძმედუნარიანი პოლიცია...

არის კიდევ ერთი ვითარება: მასობრივი წესით „დამშვიდება“ მუდმივად არ შეიძლება. შემდეგ რა იქნება? ასეთ ამბებს ორგანიზმი ეჩვევა. და თუ ამ საქმეს ხალხს ჩამოვაშორებთ, წარმოიქმნება აბსტინენცია – ნაბახუსევის სინდრომი. წარმოგიდგენიათ – ათობით, ასობით ათასი კაცი „ნაბახუსევი“? იმათ გადაურჩები!

**ანდრეი ვოლოდინი**

ЗДОРОВЬЕ

◎ ინფორმაცია

### თავსხმა ფოთში

**ორშაბათ** ღამით მოსულმა ძლიერმა წვიმამ ფოთის რამდენიმე უბანი დატბორა. როგორც იუწყებიან, წყალი საცხოვრებელი სახლების პირველ სართულზე შევარდა და მოსახლეობა დააზარალა. ფოთის მერიაში აცხადებენ, რომ წყლის ამოტუმბვა ელექტროენერგიის გათიშვის გამო ვერ მოხერხდა.

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ლაშა ბერაიას თქმით, აუცილებელია, ქალაქში დამატებითი სატუმბი სადგურების აშენება, რათა პრობლემა აღმოიფხვრას.

ფოთის სამაშველო სამსახურის უფროსის თენგიზ ხაზალიას ინფორმაციით, ღამის განმავლობაში, მხოლოდ ოთხი გამოძახება დაფიქსირდა. მოსახლეობის თქმით, სტიქიას საკუთარი ძალებით უმკლავდებოდნენ.

ინტერპრესნიუსი

## დაიჯესტი

### ანჯელინა ჯოლი ბახუსის ტრფიალი რომ ყოფილიყო...



**...იგი ისევე, როგორც ყველა სხვა მსმელი, ჰოლივუდის „ქალღმერთი“ არ იქნებოდა, ბევრი რომ ესვა, თუ რას დაემგვანებოდა, ამის გაგება ყველა მსურველს მობილური ტელეფონის ახალი დამატების — „დალევა მანქანის“ — მეშვეობით შეუძლია.**

თუკი წლების განმავლობაში კაცი სმას ვერ მოუკლებს და ახლავე აინტერესებს, თუ როგორი შესახედი იქნება, ამას საკუთარი ფოტოსურათი გააგებინებს, თუკი დღეში მოხმარებული სპირტიანი სასმელის ოდენობას მიუთითებს. შემდეგ კი პროგრამა თავისით გამოითვლის, თუ როგორ აისახება ალკოჰოლი მის სახეზე — როგორ ჩამოეწელება კანი, როგორ ჩაუსისხლიანდება თვალები და გაუწითლდება ცხვირი...

ამის ავტორი მხატვარი ორიოლ პრაისი ამბობს, რომ ამით მან ალკოჰოლიზმთან შებრძოლება სცადა: თუკი კაცის ბანალურ პატივმოყვარეობასა და კარგი გარეგნობის ქონის ელემენტარულ სურვილზე ზემოქმედების მოხდენას შევძლებთ, ამან შესაძლოა, ალკოჰოლის ნაკლებად მიღებამდე მიიყვანოს.

ისე კი აღსანიშნავია, რომ პროგრამა შოტლანდიის ჯანდაცვის სამინისტროს დაკვეთით შეიქმნა, ამიტომაც დიდ ბრიტანეთში, სადაც ხალხი საკმაოდ ბევრს სვამს, მისი აიფონში ჩაწერა ნებისმიერ მსურველს სულ 69 პენსად შეუძლია.

ამდენად, ალბათ, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ პროგრამა უმალ ჩაიწერეს ისეთმა ცნობილმა პირებმა, როგორებიც არიან ანჯელინა ჯოლი, მადონა, დევიდ ბექჰემი, რომლებსაც, როგორც ჩანს, ეს საკითხი დიდად აინტერესებთ.

### „ფხიზელი დგომები“ ტვერში



**ცენტრალური რუსეთის ქალაქ ტვერის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა ტროისვიატსკაია — სიფხიზლის ოფიციალური ზონაა, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი არა, არამედ თავად ხალხმა, ფხიზელთა ამხანაგობამ დაადგინა, რომელსაც მღვდელი მამა ალექსანდრე მორიაჩევი ხელმძღვანელობს.**

სახალხო ზეიმების დროს აქ მარტო ალკოჰოლის სმა კი არა, ნასვამი კაცის, მით უმეტეს მოზარდის გამოჩენაც კი აკრძალულია. არც ცარიელა ბოთლებს აგროვებს ვინმე, რადგან შესაგროვებელიც არაფერია!

— ეს ამბავი უკვე 20 წელია გრძელდება, — ამბობს მამა ალექსანდრე. — ბოლო ხუთი წელი კი ყოველ 1 იანვარს ჩვენ ქალაქის ცენტრში ეგრეთ წოდებულ „ფხიზელ დგომებს“ ვატარებთ. ახალი წლის დასაწყისში ხომ არა მარტო წმინდა წამებული ბონიფაციუსის დღეა, რომელსაც ალკოჰოლიზმისგან განკურნებას ავედრებენ, არამედ ილია მურომეცის დღესაა, რომელსაც ცხოვრებაში კვასის მეტი არაფერი დაულევია! ამ დღეს ყველას ღვეზელიანი ჩაით ვუმასპინძლდებით და თუ ხუთი წლის წინათ ცოტანი ვიყავით, წლეულს სალოცავად უამრავი ხალხი გამოვიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1 იანვარს თავისი მანქანით ბევრნი დადიან, რაც ძალიან სასიხარულოა — ეს იმას ნიშნავს, რომ საახალწლო სუფრასთან მათ წვეთი ალკოჰოლი არ დაულევიათ!

### შინაური... მელიები



**ეს სიმპათიური ლაქებიანი ცხოველები, რომლებიც ხელში არანაკლებ სიმპათიურ გოგონებს უჭირავთ, მელიები არიან, რომლებიც, ბოლო დროს, ყველასთვის საყვარელი შინაური ფისოებისა და მურიების მოდურ შემცვლელებად იქცნენ.**

შინაური მელიები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნოვოსიბირსკის განყოფილების ციტოლოგიისა და გენეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოიყვანეს. მათი ფასი 30 ათასი რუბლია. ოთხი ლეკვის ყიდვის სურვილი ამერიკელებმა გამოთქვეს, თუმცა უცხოელთათვის მელიების ფასი სამი ათასი დოლარია.

ვიდრე გაყიდდნენ, მეცნიერები პატარა მელიებთან თამაშის ნებას მეზობლის ბავშვებს რთავენ, რომლებიც ცხოველთა ფერმაში მთელი შემოგარენიდან იკრიბებიან, რათა ცხოველები ადამიანებს მიეჩვიონ.

### „იღბლის თაიგულები“



**ბელგიის მოქალაქემ და დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომმა „ევრომილიონების“ ლატარიაში 79-79 მილიონი ევრო მოიგეს.**

ლატარია ევროპის ცხრა ქვეყანაში — საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, პორტუგალიაში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ირლანდიაში, ლუქსემბურგსა და ბელგიაში თამაშდება. აღსანიშნავია, რომ ლატარია „ევრომილიონებში“ ყველაზე დიდი მოგება 2010 წელს დაფიქსირდა, როცა იღბლიანმა კაცმა 129 მილიონი ევრო მოიგო!

## ჩვენი პრესდაიჯესტი



# ჟურნალ-გაზეთებიდან

### ლონდონის ოლიმპიადიდან გამოქცეული ბეთქილ შუკვანი სკანდალურ განცხადებას აკეთებს

ლონდონის ოლიმპიადიდან გამოქცეული ქართველი მოჭიდავე ბეთქილ შუკვანი ისევ ლონდონში გაემგზავრა და 13 აგვისტოს საღამოს ასეთი სახის განცხადება გაავრცელა. „...სამწუხაროდ, არაჯანსაღმა ქართულმა პოლიტიკამ სპორტშიც შეაღწია. მე მისი ერთ-ერთი მსხვერპლი ვარ. თუმცა, ის უმსგავსობა, რაც დღეს ქართულ სპორტში ტრიალებს, მხოლოდ ჩემი ამბით არ შემოიფარგლება. მე ახლა გავდივარ იურიდიულ კონსულტაციებს და ვაპირებ საერთაშორისო სასამართლოს მივმართო. მე ბოლომდე ვიბრძოლებ სიმართლისთვის, გამოვააშკარავებ იმ მძიმე რეალობას, რაც დღეს ქართულ სპორტში არსებობს და საზოგადოებას დროულად შევატყობინებ პროცესის მსვლელობის შესახებ“.

შეგახსენებთ, რომ ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ბეთქილ შუკვანი საქართველოში გამოიქცა იმის გამო, რომ სპორტის მესვეური „ნაციონალები“ მას აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას და ახდენდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ერთი მიზეზის გამო — ის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია.

„ალია“.

### აფხაზეთში ომი გარდაუვალი იყო

— მიაჩნია უპარტიოთა მოძრაობის ლიდერს მამუკა გვაძაბიას, — და, რადგან ომი აფხაზეთში გარდაუვალი იყო, სჯობდა ეს ომი ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმური ხელისუფლების დროს დაწყებულიყო. მაშინ ამ ომის ბედი სხვაგვარი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც აფხაზეთში ქართული მხარის წარუმატებლობა განაპირობა, ძალიან დიდი დოზით არ იარსებებდა. მხედველობაში მაქვს აფხაზეთის მიმდებარე რეგიონის, სამეგრელოს ფაქტორი. კარგად გახსოვთ, რა უძღოდა აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებას.

„ახალი თაობა“.

### პედაგოგებთან 4-თვიანი ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყეს

პედაგოგთა პროფკავშირების პრეზიდენტის მაია კობახიძის ინფორმაციით, ქვეყნის უმეტეს სკოლებში მასწავლებლებთან 4-თვიანი, მაქსიმუმ ერთწლიანი ხელშეკრულებები ფორმდება მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციით, პედაგოგებს დამქირავებელმა მინიმუმ 3-დან 5-წლამდე შრომითი ხელშეკრულებები უნდა გაუფორმოს.

„პედაგოგებმა უნდა ისარგებლონ კანონით მინიჭებული უფლებით და არ დათანხმდნენ დამსაქმებელს მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების გამო.

„რეზონანსი“.

## მილოცვა

შესანიშნავ პიროვნებას, ძვირფას ქალბატონს, ქ. ჭიათურის სოფ. ღვითორში დაბადებულს და გაზრდილს, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ის სანეპიდემიოლოგიური სადგურის ყოფილ თანამშრომელს **ლეილა კუპატაძეს** სულითა და გულით ვულოცავთ 75 წლის იუბილეს. ვუსურვებთ პირველ რიგში ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

პატივისცემით ოჯახის სახელით

**ნოდარ, მიხეილ, ქეთი, დავით ძაძამიები, თეა სამხარაძე, მამუკა, ანი, ლუკა კერძევაძეები.**

## კადრი



## ანეკდოტები

**რაბინოვიჩი ოდესის სინაგოგაში მივიდა ცოდვების მოსანანიებლად, მაგრამ კვლავ ცდუნებამ სძლია და რაბინს საათი მოპარა.**

**— მითხარი, შვილო ჩემო, რა ცოდვები ამძიმებს შენს სინდისს? — ეკითხება რაბინი.**

**— საათი მოვპარე ერთ კარგ კაცს. გინდათ, მას თქვენ მოგცემთ?**

**— არა, შვილო ჩემო, იგი იმას უნდა დაუბრუნო, ვისაც ეკუთვნის.**

**— და თუ მას არ უნდა?**

**— მაშინ, დაიტოვე და ნუ ინაღვლებ, შვილო ჩემო.**

* * *



**— საინტერესოა, შიმშილის ტაბლეტები თუ არსებობს? — ეკითხება ტიპი ძმაკაცს.**

**— არსებობს, ოღონდ ისინი დიდებია.**

**— რა მნიშვნელობა აქვს, ოღონდ მიშველოს და...**

**— გიშველის.**

**— რა ჰქვია?**

**— კატლეტი.**

* * *

**— მამი, საიდან გავჩნდი?**

**— შვილო, პრობლემა ის კი არ არის, საიდან გაჩნდი, არამედ ის, მე რა ჯანდაბად შევეხეტე იქ...**

* * *

**იყიდეს სოფლელმა რუსებმა რამდენიმე ბოთლი ღვინო, ჩამოსხდნენ ნანგრევებთან, მაგრამ ვერ ხსნიან ბოთლებს — შტოპორი არა აქვთ.**

**— აი, ხედავ, ივანიჩ, მიყრუებულ სოფელში ვცხოვრობთ, პრობლემები კი მოსკოვური გვაქვს!**

**— რომელი მოსკოვური პრობლემები?**

**— საცობები, ივანიჩ, საცობები...**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24